

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film  
Georgian State University

**სახელოვნებო მეცნიერებათა  
ქიბანი**

**№ 3 (96), 2024**

**ART SCIENCE STUDIES**



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი  
2024

ISSN 2720-8109 (web)

ISSN 1512-4215 (print)

UDC(უაკ) 7(051.2)  
ს-364

## სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი # 3 (96), 2024

სარედაქციო საბჭო:

### **ლელა ოჩიაური**

კინომცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

### **ნათო გენგიური**

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

### **გიორგი ხეიშიშვილი**

თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ამავე უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

### **რევაზ ჟიჟინაძე**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

### **ნიკო კვარაცხელია**

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ლიტერატურული რედაქტორი  
**თაშთა ქაჭანია**

ტექნიკური რედაქტორი  
**ია ლოდია**

დამკაბადონებელი  
**ეკატერინე ოქროპირიძე**

კორექტორი  
**მანანა სანადირაძე**

გამომცემლობის ხელმძღვანელი  
**მეკა ჰასანაძე**

**Art Science Studies #3 (96), 2024**

Editorial Board:

**LELA OCHIAURI**

Film critic, Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Cinema State University of Georgia

**NATO GENGIURI**

Doctor of Arts, Professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

**GEORGE TSKITISHVILI**

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University, Director of Dimitri Janelidze Scientific Research Institute of the same university

**REVAZ CHICHINAZE**

Associate Professor of Media and Mass Communication Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

**NIKO KVARATSKHELIA**

Professor of school of business, computing and social sciences in St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Literary Editor  
**TAMTA KAJAIA**

Technical Editor  
**IA LODIA**

Book Binding  
**EKATERINE OKROPIRIDZE**

Proofreader  
**MANANA SANADIRADZE**

Head of Publishing House  
**MAKA VASADZE**

---

---

კრებულისათვის მოწოდებული მასალა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. თან უნდა ახლდეს მონაცემები ავტორის სამეცნიერო კვალიფიკაციის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე.

კრებულის სტამბური გამოცემა ეგზავნება სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით ცენტრს.

ნაშრომები მოგვაწოდეთ და ცნობებისათვის მოგვმართეთ: 0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #40, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი.

ტელ/ფაქსი: +995 (32) 2999411 (240)  
მობ: +995 (77) 288 762  
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge  
Web: www.tafu.edu.ge

Materials supplied for the volume should be provided with corresponding scientific appliance. Paperwork concerning author's academic qualification and summary of work should be attached in Georgian and English languages.

Printed version of the volume is sent out to various international research centers.

Works should be supplied under the following contact:  
0102, Tbilisi, Davit Agmashenebeli Avenue #40, Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University, Second Block

Tel/Fax: +995 (32) 2999411 (240)  
Mob: +995 (77) 288 762  
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge  
Web: www.tafu.edu.ge

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2024  
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House „Kentavri“, 2024

## სარჩევი

### თეატროლოგია

მარინე (მაკა) ვასაძე  
აბსურდის თეატრის პრობლემატიკა  
უახლეს ქართულ თეატრში -----11

### კინოსკოდნეობა

ზვიად დოლიძე  
ქანრული მრავალფეროვნება 1970-იანი  
წლების ფრანგულ კინოში -----31

### ხელოვნებათმცოდნეობა

ლიანა მენაბდიშვილი  
დღეათების მნიშვნელობა ვისკონტის  
პირველ ეკრანიზაციაში -----45

### მედის კვლევები

გვანცა მეფარიშვილი  
იდეოლოგიური ძელეფილმი -  
ეკოქალური სინდრომი -----55

### ქორეოლოგია

ლევან ალიაშვილი  
ბათონების რითუალის ქორეოგრაფიული  
ასკეძეები -----69  
სოფიკო კიკაბიძე  
„სამნიას“ სახისმეძყველება -----80

## CONTENTS

### THEATRE STUDIES

Marine (Maka) Vasadze  
THE PROBLEMS OF THE THEATRE OF THE ABSURD  
IN THE LATEST GEORGIAN THEATRE -----93

### FILM STUDIES

Zviad Dolidze  
GENRE DIVERSITY IN 1970S FRENCH CINEMA -----97

### ART STUDIES

Liana Menabdishvili  
THE IMPORTANCE OF DETAILS IN VISCONTI'S  
FIRST SCREEN ADAPTATION -----103

### MEDIA STUDIES

Gvantsa Meparishvili  
IDEOLOGICAL TV FILM - EPOCHAL SYNDROME -----108

### CHOREOLOGY

Levan Aliashvili  
THE CHOREOGRAPHIC ASPECTS OF THE  
BATONEBI RITUAL -----111

Sofiko Kikabidze  
„SAMAYIA“ FACIAL EXPRESSION -----116



# თეატროლოგია



**მარინე (მაკა) ვასაძე,**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფესორი

**რეზიუმე**

საქართველოში **აბსურდის თეატრით**, თუ სხვა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი მიმდინარეობებით - **პოსტდრამატურგია**, ახალი ტექსტუალობები, სახეში მოხლილი დრამატურგია და ასე შემდეგ - დაინტერესება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან იწყება. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში, ფაქტობრივად, აკრძალული იყო და არ იდგმებოდა არც ეგზისტენციალისტი, არც აბსურდისტი და, მით უმეტეს, არც მოგვიანებით შექმნილი მიმდინარეობების წარმომადგენელთა პიესები. დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოში არა მხოლოდ იდგმება **ანტიდრამას** მიკუთვნებული პიესები, არამედ ახალი თაობის ქართველი დრამატურგები პიესების წერისას იყენებენ აბსურდსა თუ სხვა მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელ ხერხებს.

უახლეს ქართულ თეატრში სხვადასხვა თაობის რეჟი-

სორები ინტენსიურად დგამენ აბსურდისტ დრამატურგთა ნაწარმოებებს. წინამდებარე სტატიის მიზანია შევეცადო, დავადგინო: თუ რატომ იდგმება დღეს ასე ხშირად ქართულ თეატრში აბსურდის თეატრის წარმომადგენელთა პიესები მაშინ, როცა ეგრეთ წოდებულმა **აბსურდის თეატრმა** დეკადანსი 60-იანი წლების ბოლოსკენ განიცადა, ზოგი მისი ინოვაცია შთაინთქა თეატრის ძირითად მიმართულებაში (თუმცა, მზად იყო შემდგომი ექსპერიმენტებისთვის), ზოგიერთმა ავტორმა მონახა ახალი მიმართულება, ხოლო სხვებმა გააგრძელეს იმავე ამპლუაში ყოფნა.

დასმული პრობლემის გასაანალიზებლად ბოლო ხუთ წელიწადში ქართული თეატრის ფიცარნაგებზე განხორციელებულ რამდენიმე წარმოდგენას განვიხილავ, კერძოდ კი: ახალგაზრდა რეჟისორის, საბა ასლამაზიშვილის დადგმულ ედვარდ ოლბის „ზოოპარკის ისტორიას“ (2019), სემუელ ბეკეტის რობერტ

სტურუსეულ „თამაშის დასასრულს“ (2020), ისევე სემუელ ბეკეტის „ო, ეს ბედნიერი დღეები“ გიორგი აფხაზავას ინტერპრეტაციით (2022) და ზურა გეწადის სპექტაკლს ეჟენ იონესკოს „მარტორქებს“ (2023).

ვფიქრობ, გაანალიზებული სპექტაკლები უპასუხებს ჩემ მიერ დასმულ კითხვას. დასკვნის სახით კი ვიტყვი, რომ აბსურდისტ დრამატურგთა პიესებში ასახული პრობლემატიკა დღესაც ძალიან აქტუალურია არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

დღეს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ომშია ჩართული. ძალაუფლების მოსაპოვებლად სხვადასხვა სახელმწიფო ან შიდა ომებს აწარმოებს, ან სხვა სახელმწიფოებს ებრძვის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეგავლენის,

ტერიტორიული გაფართოების, სასარგებლო წიაღისეულზე ხელმისაწვდომობის და კიდევ უფრო გამდიდრების მიზნით. დღეს, 21-ე საუკუნეში, ისევე არსებობს ძალადობა, ჩაგვრა, დისკრიმინაცია, მონობა, სეპარატიზმი, გენდერული უთანასწორობა; დღეს ისევე არსებობს რელიგიური ფანატიზმი, პოლიტიკურ პირთა ფეტიშიზაცია, კერპების შექმნა ან/და „კერპთაყვანისმცემლობა“; ისევე არსებობს მონური ფსიქოლოგია, მასობრივი ისტერიები და ასე შემდეგ; დღეს მთავროვნე ინტელექტუალი ისევე მარტოსულად, გაუცხოებულად, „მტრულ სამყაროში“ გადმოგდებულად გრძნობს თავს; ადამიანი ისევე ეძიებს ჭეშმარიტი არსებობის საზრისს; დღეს, ადამიანს ისევე აქვს სამყაროს აბსურდულობის განცდა.

---

---

## აბსურდის თეატრის პრობლემატიკა უახლეს ქართულ თეატრში

საკვანძო სიტყვები: თეატრი, აბსურდი, ინტერპრეტაცია, კონცეფცია,  
რეჟისორი, სპექტაკლი

*„ჩემს ცხოვრებაში არაერთხელ გამოაცა მკვეთრმა ცვლილებებმა,  
ადამიანები მუდმივად იწყებენ ახალი რწმენის აღიარებას.  
ფილოსოფოსები და ჟურნალისტები, ჭეშმარიტად ისტორიულ  
მომენტებზე იწყებენ საუბარს,  
რეალურად კი აზროვნების თანდათანობითი მუტაციის წინაშე  
ვდგებით,  
როცა ადამიანები წყვეტენ შენი აზრის გამიარებას, როცა მათთან  
შეთანხმება შეუძლებელია,  
რჩება შთაბეჭდილება თითქოს ურჩხულებს ელაპარაკები“.*

ეჟენ იონესკო

მარტინ ესლინის<sup>1</sup> სახელდებული აბსურდის თეატრი და დრამა-ტურგია, რომელსაც ასევე უწოდებენ პარადოქსის თეატრს, ანტიდრამას, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჩნდება ჯერ ევროპაში, მოგვიანებით კი აშშ-ის სათეატრო სივრცეში. დაბადების თარიღად მიჩნეულია 1950 წელი, როდესაც პარიზში რუმინული წარმოშობის ფრანგი დრამატურგის, ეჟენ იონესკოს „მელოტი მომღერალი ქალი“ (ზოგიერთ თარგმანში „ქაჩალი მომღერალი ქალი“), პირველად დაიდგა სცენაზე. ომით და ომის შემდგომი პერიოდით გამოწვეული იმედგაცრუება, ნიჰილიზმი, არსებობის აბსურდულობის მსოფლადქმა აისახა ამ მიმდინარეობის ქვეშ მოაზრებულ შემოქმედთა დრამატურგიულ ნაწარმოებებში. ეგრეთ წოდებულმა აბსურდისტებმა რადიკალურად შეცვალეს პიესის დრამატურგიული სტრუქტურა, ფორმა - პიესას აღარ აქვს სიუჟეტი, მოქმედებისა თუ პერსონაჟთა ხასიათების ფსიქოლოგიური განვითარება, კონკრეტული დასაწყისი და ფინალი, დიალოგებს კი, შეიძლება ვუწოდოთ „უაზრო“ ვერბალური ნაკადი, რემარკებს, პაუზებსა და სიჩუმეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აბსურდის

---

<sup>1</sup> მარტინ ესლინი (Martin Julius Esslin, 1918 -2002) წარმოშობით უნგრელი, ინგლისელი პროდიუსერი, დრამატურგი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, პროფესორი.

თეატრი, ანტიდრამა, თუ პარადოქსის თეატრი, გამსჭვალულია მსოფლიოს უსაზრისო ეგზისტენციალური აღქმით. არსებობის „პარადოქსულობის“, „აბსურდულობის“ გამოხატვის მცდელობისას მიმართავენ სახეობრივი მეტაფორის გამოყენების გამოცდილებას და ქმნიან ტექსტობრივი მასალის ნათელ მაგალითს. ეგზისტენციალისტებისგან განსხვავებით, ისინი უარყოფენ ფილოსოფიასა და იდეოლოგიას (თუმცა, მეტ-ნაკლები დოზით, მაინც არსებობს მათ ნაწარმოებებში) და თავიანთ თეატრს „ანტიმისტიკურს“, „ანტიიდეოლოგიურს“, „ანტი-რეალისტურს“ უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ აბსურდის დრამატურგიაში არსებული ძირითადი პოსტულატები აბსურდის თეატრს სწორედ ეგზისტენციალისტებისგან აქვს ნასესხები: ადამიანის იზოლირება გარე სამყაროსგან, უკიდურესი ინდივიდუალიზმი და „ჩაკეტილობა“, არაკომუნიკაბელურობა, ადამიანებს შორის ურთიერთობის შეუძლებლობა, აქტიური ქმედებების უშინაარსობა, ბოროტების დაუმარცხებლობა, ადამიანის მიერ დასახული მიზნის მიუღწევადობა.

აბსურდის თეატრში ჩანს გავლენა კომიკური ტრადიციების, რომლებიც მომდინარეობენ ისეთი წყაროებიდან, როგორებიცაა კომედია დელ არტე, ვოდევილები და მიუზიკლები, მიმებისა და აკრობატულ თეატრთან ერთად. ამავე დროს, აშკარაა ექსპრესიონისტული, სიურრეალისტური, ეგზისტენციალისტური სკოლების იდეების და ფრანც კაფკას გავლენაც. თავდაპირველად, როცა **აბსურდისტებმა თეატრალური ჩვეულებების აბსურდ აგდება, დაცინვა დაიწყეს, საზოგადოება შოკში ჩააგდეს, მაგრამ, ამავე დროს, პოპულარობა მოიპოვეს.**

მარტინ ესლინი თავის წიგნში „აბსურდის თეატრი“ წერს, რომ ეს დრამატურგები არ უნდა მოვიაზროთ ერთი რომელიმე მიმართულების, სკოლის წარმომადგენლებად. მათ გამოიყენეს ყველა ჟანრი, ფორმა თუ ხერხი, რაც დრამატურგიის განვითარების ისტორიაში არსებობდა და შექმნეს აბსოლუტურად განსხვავებული და ორიგინალური მიმდინარეობა. ამ ტერმინის ქვეშ მოაზრებულ დრამატურგებს აერთიანებთ ყოფიერების, არსებობისა და ისტორიის თავისებური, მათეული აღქმა. „შეკითხვაზე თქვენ „აბსურდის თეატრს“ მიეკუთვნებითო, განრისხებულები გიპასუხებენ, რომ არა, და მართლებიც იქნებიან. ვინაიდან, თითოეული მათგანი სა-

კუთარი მსოფლალქმის გამოხატვის ფორმებს ეძებს“.<sup>1</sup>

საქართველოში **აბსურდის თეატრით**, თუ სხვა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი მიმდინარეობებით - **პოსტდრამატურგია**, ახალი ტექსტუალობები, სახეში მოხლილი დრამატურგია და ასე შემდეგ - დაინტერესება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან იწყება. ეგრეთ წოდებული **აბსურდის თეატრის** დრამატურგებიდან ყველაზე ხშირად იდგმება: ეჟენ იონესკოს, სემუელ ბეკეტის, ედვარდ ოლბის პიესები. ეს, რა თქმა უნდა, განაპირობა საბჭოთა ცენზურის არსებობამ. საბჭოთა კავშირში შემაგალ რესპუბლიკებში, ფაქტობრივად, აკრძალული იყო ეგზისტენციალური, აბსურდის თეატრის და, მით უმეტეს, არც მოგვიანებით შექმნილი მიმდინარეობების წარმომადგენელთა პიესები. დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოში არა მხოლოდ იდგმება **ანტიდრამას** მიკუთვნებული პიესები, არამედ ახალი თაობის ქართველი დრამატურგები პიესების წერისას იყენებენ აბსურდის თუ სხვა მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელ ხერხებს.

უახლეს ქართულ თეატრში სხვადასხვა თაობის რეჟისორები ინტენსიურად დგამენ აბსურდის დრამატურგთა ნაწარმოებებს. ზემოთ ჩამოთვლილი ბეკეტის, იონესკოს და ოლბის გარდა, სხვა დრამატურგებსაც მიმართეს. მაგალითად, **სამეფო უბნის თეატრში** დაიდგა ჟან ჟენეს „მოახლეები“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სათეატრო სივრცეში ნიკა (ნიკოლოზ) თავაძე პირველი იყო, რომელმაც სცენაზე ამ სკანდალური ბიოგრაფიის უნიჭიერესი, თავისებური, მემამოხე სულის ავტორის პიესა განახორციელა. აქვე აღვნიშნავ, ბოლო წლებში სეზონი ისე არ ჩაივლის, რომ ბეკეტის, იონესკოს, ოლბის პიესები არ დაიდგას.

წინამდებარე სტატიაში შევეცდები დავადგინო: თუ რატომ იდგმება დღეს ასე ხშირად ქართულ თეატრში აბსურდის თეატრის წარმომადგენელთა პიესები, მაშინ როცა ეგრეთ წოდებულმა **აბსურდის თეატრმა** დეკადანსი 60-იანი წლების ბოლოსკენ განიცადა, ზოგი მისი ინოვაცია შთაინთქა თეატრის ძირითად მიმართულებებში (თუმცა, მზად იყო შემდგომი ექსპერიმენტებისთვის), ზოგიერთმა ავტორმა მონახა ახალი მიმართულება, ხოლო სხვებმა გააგრძელეს იმავე ამპლუაში ყოფნა.

<sup>1</sup> Эсслин, Театр, 2010, ст. 4-6. (სტატიაში მოყვანილი ნათარგმნი ციტატები ეკუთვნის ავტორს, მაკა ვასაძეს).

ბევით უკვე აღვნიშნე, რომ უახლესი ქართული სადადგმო ხელოვნების ისტორიაში აბსურდის დრამატურგიით დაინტერესება ძალიან გაიზარდა. დავასახელებ 21-ე საუკუნეში სხვადასხვა თაობის რეჟისორის მიერ შექმნილ სპექტაკლებს: რობერტ სტურუა - „გოდოს მოლოდინში“ (სემუელ ბეკეტი, რუსთაველის ეროვნული თეატრი, 2002), ზურაბ გეწაძე - „მელოტი მომღერალი ქალი“ (ეჟენ იონესკო, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი, 2007), ნიკოლოზ თავაძე - „მოახლეები“ (ჟან ჟენე, სამეფო უბნის თეატრი, 2015), კოკო როინიშვილი - „ორთა ბოდვა“ (ეჟენ იონესკო, მოზარდმაცურებელთა თეატრი, 2020), გუგა ბერეკაშვილი - „ქაჩალი მომღერალი ქალი“ (ეჟენ იონესკო, სანდრო მრევლიშვილის სახელობის დრამატული თეატრი, 2024) და სხვა. ყველა დადგმა მეტ-ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ დასმული პრობლემის გასაანალიზებლად ბოლო ხუთ წელიწადში ქართული თეატრის ფიცარნაგებზე განხორციელებულ რამდენიმე წარმოდგენას განვიხილავ, კერძოდ კი: ახალგაზრდა რეჟისორის, საბა ასლამაზიშვილის დადგმულ ედვარდ ოლბის „ზოოპარკის ისტორიას“ (2019), სემუელ ბეკეტის რობერტ სტურუასეულ „თამაშის დასასრულს“ (2020), ისევ სემუელ ბეკეტის „ო, ეს ბედნიერი დღეები“ გიორგი აფხაზავას ინტერპრეტაციით (2022) და ზურა გეწაძის სპექტაკლს ეჟენ იონესკოს „მარტორქებს“ (2023).

მე-19 საუკუნის ბოლოდან დაწყებულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა კაცობრიობას, სიკეთესთან ერთად, ბევრი „უბედურება“ მოუტანა, ამის შესახებ თავიანთი შემოქმედებით ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ექსპრესიონისტები (ტექნოკრატის გაშმაგებული მოწინააღმდეგენი) გვაფრთხილებდნენ - ადამიანებში დაისადგურებს უკიდურესი მარტოსულობა, გაუცხოება და ასე შემდეგ. უკვე აღვნიშნე, რომ აბსურდის დრამატურგია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იბადება. იმ პერიოდისთვის კაცობრიობას გამოვლილი ჰქონდა ორი მსოფლიო ომი, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, ეკონომიკური გაჭირვება, შიმშილი, ავადმყოფობები და, რაც მთავარია, სულიერი კრიზისი - მომავლის რწმენის უიმედობა. სწორედ არსებულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა შვა მიმდინარეობა აბსურდის თეატრი. ინტელექტუალებმა, ფილოსოფოსებმა, მწერლებმა ხელოვნების მოღვაწეებმა დაიწყეს მსოფლალქმის გადაფასება. პირანდელოსთან თუ ეგზისტენცია-



ლისტებთან არსებული გაუცხოების (სხვებთან, საკუთარ თავთან, სამყაროსთან), ადამიანის არსებობის პრობლემა აბსურდისტებთან უკიდურეს ნიჰილიზმში გადაიზარდა და, თუკი ეგზისტენციალისტები პიროვნებას არჩევანისა და აქტის გაკეთების საშუალებას აძლევდნენ, აბსურდისტებმა ადამიანის სიცოცხლე და არსებობა აბსოლუტურ უაზრობად მიიჩნიეს.

*აშშ-ში* აბსურდის თეატრი 1970-იანი წლებიდან მკვიდრდება, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ის, რომ I და II მსოფლიო ომებმა აბსურდის თეატრის უმთავრესი პრობლემები - საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, განხიზვლა - ამერიკელებს არ მოუტანა. ამისდა მიუხედავად, იყვნენ დრამატურგები, ვისმაც ევროპულმა აბსურდის თეატრმა გავლენა იქონია. ერთ-ერთი მათგანი ედვარდ ოლბია (1928-2016). ოლბი აღიარებდა იონესკოს, ჟენეს, ბეკეტის გავლენას, მაგრამ, სხვა აბსურდისტების მსგავსად, უარყოფდა ამ მიმდინარეობისადმი მიკუთვნებულობას. ზოგადად, ოლბის შემოქმედება სამ პერიოდად იყოფა. პირველ პერიოდში იგი ერთაქტიან პიესებს წერდა, როგორებიცაა „ზოოპარკის ისტორია“ (The Zoo Story 1958), „ქვიშის ყუთი“ (The Sandbox 1959) „ამერიკული ოცნება“ (The American Dream 1961) და სხვა. მკვლევართა აზრით, ოლბის სწორედ ერთაქტიან პიესებში აქვს გამოყენებული აბსურდის თეატრის ხერხები.<sup>1</sup> 2004 წელს (44 წლის შემდეგ) ოლბი უბრუნდება „ზოოპარკის ისტორიას“ და წერს ორაქტიან პიესას - I მოქმედებაა „ზოოპარკის ისტორია“, ხოლო II - „პიტერი და ჯერი“, რომელსაც 2009-ში „სახლი ზოოპარკში“ (Home at the Zoo) უწოდა.<sup>2</sup>

მკვლევრები ოლბის ადრეულ ნაწარმოებებს გაამერიკელებულ აბსურდის თეატრს უწოდებენ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ „ამერიკანიზაცია“ ოსტატის მიერაა გაკეთებული. „ზოოპარკის ისტორია“, აბსურდის თეატრისათვის დამახასიათებელი, ადამიანის არსებობის საზრისის ძიებაზეა. აქაც უმთავრესი პრობლემაა ადამიანის მარტოსულობა, გაუცხოება სხვებთან, საკუთარ თავთან.

<sup>1</sup> ოლბის 1966 წელს დაწერილი „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის“ (რომელიც წარდგენილი იყო პულიტცერის პრემიაზე, მაგრამ ავტორის ჰომოსექსუალიზმის გამო არ მისცეს) დღემდე მიიჩნევა ოლბის საუკეთესო ნაწარმოებად (მაიკ ნიკოლსმა სადებიუტო ფილმიც გადაიღო ელიზაბეთ ტეილორისა და რიჩარდ ბარტონის მონაწილეობით და რამდენიმე ოსკარი მოიპოვა).

<sup>2</sup> ვასაძე, ედვარდ, 2020, გვ. 274-280.

დრამატურგი სოციოკულტურულ პრობლემებს ადამიანის მიერ ცხოვრების საზრისის ძიების პრიზმაში ასახავს. ოლბის მომდევნო თაობის დრამატურგები, მათ შორის, პაულა ფოგელი (Paula Vogel), მიიჩნევენ, რომ ოლბის პირობითობა, მკვეთრი, მწვავე დიალოგები გეხმარება ომისშემდგომი, 60-იანი წლების ამერიკული თეატრის გადააზრებაში. მკვლევართა აზრით, ოლბის დრამატურგია თანამედროვე ადამიანის მდგომარეობის **გამოცდაა**.

2019 წელს ახალგაზრდა რეჟისორმა, საბა ასლამაზიშვილმა მესხეთის თეატრში „ზოპარკის ისტორია“ დადგა. იმ პერიოდისთვის ამავე პიესის მიხედვით განხორციელებული რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი უკვე არსებობდა ქართული თეატრების ფიცარნაგებზე. რით იყო გამორჩეული ან/და ორიგინალური თითქმის ახალბედა რეჟისორის ინტერპრეტაცია?

რეჟისორმა დადგმისას პოლისტილისტური მეთოდი გამოიყენა და აბსურდის თეატრის ხერხებთან გააერთიანა სხვა სათეატრო მიმდინარეობათა ფორმები. სპექტაკლის ყურებისას ამოიცნობდით დოკუმენტურ-ინტერაქტიურ, ნატურალისტურ, რეალისტურ, ექსპრესიონისტულ, ეგზისტენციალურ, ეპიკურ თუ არაეპიკურ თეატრის ხერხებს. შექსპირის ცნობილი სენტენცია - მთელი სამყარო თეატრია - ყველა ამ მიმდინარეობის გამაერთიანებლად გამოიყენა, თუმცა, ამაში ირონიაც ჩადო. თამაში თამაშში, თეატრალური პირობითობა, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი? სვამენ კითხვას სპექტაკლში ანდრია ვაჭრიძის „პიტერი“ და ლექსო ჩემიას „ჯერი“. როდის იქნება რეალური ცხოვრება და თეატრი გაერთიანებული? რეჟისორმა თავად გასცა დადგმაში დასმულ კითხვას პასუხი - არასდროს, ვინაიდან თეატრი თავისი არსით პირობითი ხელოვნებაა. თეატრი ასახავს ცხოვრებას და ამ ასახვისას თამაშის სხვადასხვა ხერხს იყენებს.

საბა ასლამაზიშვილი ოლბის პიესის ასმათ ბეშიძის თარგმანს დაეყრდნო და ოლბისეული ტექსტი თითქმის უცვლელად დატოვა, მხოლოდ მცირედი ცვლილებები საკუთარი ინტერპრეტაციით კონცეფციის ნათლად წარმოსაჩინად შეიტანა. აბსურდულ პიესებში რემარკებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ, რეჟისორმა ესეც გაითვალისწინა და თითქმის ყველაფერი უცვლელად დამოიტანა სცენაზე. სათამაშო სივრცედ კი არა მარტო სცენა, არამედ მაყურებელთა დარბაზიც გამოიყენა.

სპექტაკლში პიტერი და ჯერი ოლბის პერსონაჟებზე უფრო ახალგაზრდები იყვნენ და რეჟისორის ინტერპრეტაციით ორივე მსახიობი არა მარტო პერსონაჟებად, არამედ მთხრობელებადაც გვევლინებოდნენ. დარბაზში ლილინ-ლილინით შემოსული მსახიობები სპექტაკლის დასაწყისიდანვე შედიოდნენ მაყურებელთან ინტერაქციაში, ესალმებოდნენ ხელს ართმევდნენ, მოიკითხავდნენ, მერე სცენაზე ადიოდნენ, იქვე იცვლიდნენ კოსტიუმებს და პერსონაჟებად - პიტერად და ჯერად - გარდაიქმნებოდნენ. ეგრეთ წოდებული როლში შესვლა და გამოსვლა მთელი სპექტაკლის განმავლობაში ხორციელდებოდა.<sup>1</sup>

რეჟისორმა და მსახიობებმა პიესაში არსებულ ჰომოსექსუალიზმის თემა უფრო გაამძაფრეს და წინა პლანზე წამოსწიეს. ფინალისკენ პიესაში ჯერი უღუტუნებდა პიტერს, რომელიც თითქმის ისტერიკაში ვარდებოდა. სპექტაკლში ჯერი ეხუტებოდა პიტერს ერთმანეთისადმი სექსუალური ლტოლვის მინიშნებებით. ანდრია ვაჭრიძის პიტერში ორმაგი გრძნობა აღიქმებოდა - ჯერისადმი ქვეცნობიერი ლტოლვა და გაღიზიანება, ჰომოსექსუალური მიდრეკილების გაცნობიერებისას კი - ისტერიკაში ჩავარდნა. პიტერი და ჯერი მაყურებელს ყველაზე ინტიმურ, პიროვნულ განცდებსა თუ ფიქრებზე ესაუბრებოდნენ და თანდათანობით დარბაზის თითოეულ წევრს ამბის მონაწილე-გამზიარებლად აქცევდნენ. პრობლემები, რომლებიც ნი-იან წლებში აწუხებდა ოლბის, თანამედროვეობაშიც უკიდურესად აქტუალურია: განსხვავებულის მიუღებლობა, ფარისევლობა, მიუტევებლობა, სოციუმთან შეუთავსებლობა, გაუცხოება, მარტოსულობა, ცხოვრების არსის, სიყვარულის ძიება - საკითხები დღესაც უმწვავესია. რეჟისორის კონცეფციით მაყურებელი პიტერის და ჯერის ამბის არა მარტო თვალის მადევნებელი, მოწმე, არამედ უშუალო მონაწილე და თანამზიარი ხდებოდა.

სპექტაკლში პიტერს და ჯერის, პიესისგან განსხვავებით, რამდენჯერმე ჰქონდათ თვითმკვლელობის მცდელობა - ფანჯრიდან ხტებოდნენ, შემდეგ ბრუნდებოდნენ სცენაზე და აგრძელებდნენ თამაშს. ფინალში, კი როდესაც ჯერიმ საწადელს მიაღწია, პიტერი გამოიყვანა წყობიდან და ამ უკანასკნელი შემთხვევით, მაგ-

<sup>1</sup> ამ ხერხს XX საუკუნის 20-იან წლებში გერმანიაში (და არა მარტო) ნატურალისტური თუ ექსპრესიონისტული თეატრის წარმომადგენლები იყენებდნენ, მერე ბრეხტმა უფრო დახვეწა და გაუცხოების მეთოდი უწოდა.

რამ მაინც, დანა გაუყარა ჯერის, მან კი, ფიცარნაგზე გართხმულ-მა, მკვდარი განასახიერა. პიტერი სრულ ისტერიკა-გაუგებრობაში ვარდებოდა. 2-3 წუთის შემდეგ ჯერი ნელ-ნელა წამოდგა, წითელი სითხით სავსე კონტეინერი ამოიღო უბიდან, მაყურებელს აჩვენა, ღიღინით მივიდა ფანჯრისკენ, გამოალო, რაფაზე ავიდა, თითქოს გადახტომას აპირებდა. რეჟისორმა და მსახიობებმა ღიად დატო-ვეს პასუხი კითხვაზე, გადახტა თუ არა ჯერი ფანჯრიდან. მაყურე-ბელს არჩევანს უტოვებენ ამბის გასაგრძელებლად და თითოეულ-მა მათგანმა თავად უნდა გასცეს პასუხი და თავად უნდა განსაზღ-ვროს, რას მოიმოქმედებდა ჯერი: გადახტებოდა თუ არა? ღირს კი გადახტომა?

საბა ასლამაზიშვილის სპექტაკლი საინტერესოდ მთავრდება. მაყურებლის წინაშე თავის დასაკვრელად პიტერი და ჯერი ხე-ლი-ხელ ჩაკიდებულები ავანსცენაზე ფარდის ქვეშ დგანან. ფარდა რამდენჯერმე იღება და იხურება, მსახიობები მუნჯი კინოს ხერხე-ბის და „ჩახვეული ფირის“ ეფექტის გამოყენებით ერთსა და იმა-ვე მოძრაობებს იმეორებენ, ილიმიან, თავს უკრავენ მაყურებელს და ასე შემდეგ. ყველაფერი მეორდება, ყველაფერი ისევ თავიდან იწყება. რეჟისორი მაყურებლისთვის დასაწყისიდან შეთავაზებუ-ლი თამაშის პირობის ერთგული რჩება. საბა ასლამაზიშვილის ინ-ტერპრეტირებული „ზოოპარკის ისტორიის“ კონცეფცია და მთავა-რი სათქმელი, ზემოთქმულის გარდა, ისიცაა, რომ, სამწუხაროდ, განგებამ ადამიანები სამყაროში ვიღაცის ხელით მართულ მარი-ონეტებად მოგვაგვლინა. ადამიანები შევეგუეთ ამ უსამართლობას და ვიქეცით უსახურ, უსუსურ არსებებად, ყოველგვარი არსისა თუ სიცოცხლის საზრისის გარეშე მყოფებად.

XXI საუკუნეში რუსთაველის ეროვნულ თეატრში მანქანა რო-ბერტ სტურუამ ბეკეტის ორი პიესა დადგა - „გოდოს მოლოდი-ნი“ 2002 წელს და „თამაშის დასასრული“ 2020 წლის დასაწყისში. ვფიქრობ, „გოდოს მოლოდინი“ სტურუას შედეგრთა შორისაა. თა-ვის დროზე ბევრმა ვერ გაიგო, ვერ აღიქვა, ზოგს მიაჩნდა, რომ ეს ბეკეტი არაა, ზოგი ამბობდა - ორი მოქმედება არ დადგაო და ასე შემდეგ. არადა, ეს იყო ბეკეტის ორიგინალური ინტერპრეტაცია, დაუვიწყარი სპექტაკლი - ფორმის, ხერხების, შინაარსის, სარეჟი-სორო ხედვის თვალსაზრისით, სადადგმო კონცეფციის ზუსტად გა-მომხატველი სამსახიობო ოსტატობით. ზაზა პაპუაშვილის, ლევან

ბერიკაშვილის, ამირან ამირანაშვილისა და გოგა გველესიანის პერსონაჟი-ტიპაჟები - ესტრაგონი, ვლადიმირი, პოცო და ლაქი - სამსახიობო ოსტატობის უმაღლესი გამოხატულება გახლდათ.

ბეკეტის „თამაშის დასასრულიც“ სტურუასეული სათეატრო ენით, სტილისტიკით, ფორმით განხორციელებული წარმოდგენაა. რობერტ სტურუას ორიგინალური სათეატრო ენა თანამედროვე სათეატრო ხელოვნებაში არსებულ სტილთა შორის უნიკალური და განუმეორებელია...

რობერტ სტურუა პიესაზე მუშაობას ტექსტის ანალიზით, დამუშავებით, მონტაჟით იწყებს. ამავე პრინციპითაა დადგმული „თამაშის დასასრულიც“. პიესა ნინო კანტიძესთან ერთად თარგმნა, სასცენო ტექსტში რეჟისორმა ჩართო ნაწყვეტები „იოანეს გამოცხადებიდან“ (ბიბლიური), „გოდოს მოლოდინიდან“ და მისეული ფრაზებიც (ძალიან მცირედ) ჩაამატა. ამ კუპირების მიუხედავად, სტურუამ ბეკეტის ტექსტის რითმა, მუსიკალობა, რიტმული ჟღერადობა შეინარჩუნა. დადგმაში პიესისგან განსხვავებით, ერთი და იგივე ტექსტი, ერთი და იგივე ქმედება ისეთი სიხშირით არ მეორდება, როგორც ეს ბეკეტთანაა. სტურუამ უფრო გაამძაფრა ნაწარმოებში არსებული სულისშემძვრელი, გამოუვალი, დაუსრულებლობის გრძნობის აღმძვრელი გარემოება, აპოკალიფსის შეგრძნება კი უფრო მეტად თვალნათელი და შემზარავი გახდა. სტურუამ ბეკეტისეულად სიღრმისეული, ფილოსოფიურ-ეგზისტენციალური ფარსი, მორალიტე, ზოგჯერ კარნავალური ატმოსფერო შექმნა სცენაზე.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბეკეტის „თამაშის დასასრული“ მონოდრამაა, პიესაში არსებული ოთხივე პერსონაჟი კი შინაგანად, სულიერად გახლეჩილი ერთი პიროვნების არაცნობიერში განდევნილი სხვადასხვა ასპექტია.

„ამ შემთხვევაში, წარმოადგენს თუ არა კლოვი ინტელექტს, რომელიც ემსახურება ემოციებს, ინსტინქტებს, საჭიროებებს და ცდილობს, თავი გაითავისუფლოს ამ ანარქისტული და ტირანული პატრონებისგან (ბატონებისგან), რომლებიც სასიკვდილოდ არიან განწირულნი?.. თუ ეს სამყაროს დასასრულია, რომელიც თანდათან, დაბერებისა და სიცოცხლესთან განშორების პროცესში კარგავს კავშირს რეალობასთან? შესაძლოა, რომ „თამაშის დასასრული“ მივიჩნიოთ მონოდრამად, რომელიც სიკვდილის პირას

მყოფი პიროვნების რღვევას გამოხატავს? ... ბეკეტის პიესები მრავალგვარი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა... ერთი მხრივ, ეს შესაძლოა იყოს მონოდრამა, მეორე მხრივ კი, მორალიტე მდიდარი კაცის გარდაცვალებაზე<sup>1</sup>, - წერს მარტინ ესლინი.

პიესაში, ფინალისკენ, ჰორიზონტზე ლოდს მიყრდნობილი პატარა ბიჭი მოჩანს, რომელიც საკუთარ ჭიპს დაჰყურებს. ფრანგულ ვარიანტში (არსებობს თავად ავტორის დაწერილი ინგლისური ვარიანტიც) კლოვი ატყობინებს ჰამს, რომ პატარა ბიჭს ხედავს დურბინდში (ტელესკოპში). უკაცრიელ, უსიცოცხლო გარემოში, რომელშიც დრო გაჩერდა, მზე არ ამოდის, ზღვა არ ღელავს, სიცოცხლის გაგრძელების იმედის ნაპერწკალი - პატარა ბიჭი ჩნდება... ჰამი ბიჭზე ამბობს: „დიდ საფლავის ქვას (ლოდს) მიყრდნობილი (პაუზა). (კლოვს) შენ მხედველობა გაგიუმჯობესდა. (პაუზა) და ის, რა თქმა უნდა, უყურებს სახლს, როგორც მომაკვდავი მოსე“.<sup>2</sup>

აქ მოსესა და ლოდის ხსენება პირველ ადამიანზე<sup>3</sup> მინიშნებად, მოსეს შედარებული ბიჭი, აღთქმულ მიწასთან მიახლოებულ მომაკვდავ მოსედ და ჭიპი სამყაროს ჭიპად კი არა, არამედ „წარღვნის“ შემდეგ სამყაროში სიცოცხლის გაგრძელების პირველ ნიშნად, ახალი სიცოცხლისთვის აღმდგარ ქრისტედ, ან/და ბუდისტურ რელიგიაში არსებულ, ნირვანაში მყოფ ბუდად შეიძლება აღვიქვათ. ჰამი კლოვს უბრძანებს, ბიჭი მოკლას, ვინაიდან მას სურს, რომ ეს უაზრო „თამაში“, ანუ სიცოცხლე დასრულდეს, დასრულდეს სამყარო... ხოლო ბიჭი - მომავლის იმედი და სიცოცხლის გაგრძელება - უნდა მოკვდეს... ეს ჰამისა და კლოვის მოვალეობაა.

რობერტ სტურუას სპექტაკლის კონცეფციის ამოსავალი წერტილი სწორედ პიესის ეს ეპიზოდია. რეჟისორმა ბიჭი, ანუ მომავლის იმედი, თეთრ პერანგში შემოსილ ქრისტედ აქცია - სპექტაკლი ქრისტეს მოვლინებით დაიწყო და დაასრულა.

რობერტ სტურუამ ბეკეტისეული პერსონაჟების - ჰამის, კლოვის, ნაგისა და ნელის - სახე-ხატები კი არ შეეცვალა, არამედ აქცენტების გადაადგილებით, მცირედი ცვლილებებით, მაყურებლისთვის ნათლად აღსაქმელი გახადა.

<sup>1</sup> Эсслин, Театр, 2010, ст. 23-24.

<sup>2</sup> Беккет, Конец, 1998.

<sup>3</sup> ქრისტიანული (მოსეს სასჯელი) და ისლამური (ადამის ქვა) რელიგიებიდან გამომდინარე.

სპექტაკლში ჰამი (დავით უფლისაშვილი) და კლოვი (გოგა ბარბაქაძე) ჯამბაზები არიან, მათი ჯამბაზური ბუნება პიესიდან გამომდინარეა. წიგნში „აბსურდის თეატრი“ მარტინ ესლინი წერს: „ჰამი და კლოვი (ham actor – აქტორი, იაფფასიანი ეფექტებით მანიპულირებს, თუ ჯამბაზია? Hammer and neil – ჩაქუჩი და ლურსმანი; clou – ლურსმანი ფრანგულად) რაღაც თვალსაზრისით, პოცოსა და ლაქის შესაბამისნი არიან. ჰამი – პატრონი, კლოვი – მსახური. ჰამი მტაცებლური, ეგოისტური, დესპოტური ბუნებისაა. კლოვი ვერ იტანს ჰამს, სურს მისგან წასვლა, მაგრამ იძულებულია დამორჩილდეს“.<sup>1</sup>

სანაგვე ყუთში მოსროლილი ჰამის მშობლები – ნელი (ნანა ფაჩუაშვილი) და ნაგი (ლევან ბერიკაშვილი) – რობერტ სტურუამ უფრო ტრაგიკომიკურები გახადა. ბეკეტთან ისინი გროტესკულ-სენტიმენტალური, მოსულელო ნაძირალები არიან.

უკვე აღვნიშნე, რომ სტურუას სპექტაკლი ქრისტეს მოვლინებით იწყება და სრულდება. ამგვარად კრავს რეჟისორი სპექტაკლის ფაბულას, სათქმელს, ფორმას, სტრუქტურას. ფინალში კლოვი სწორედ იმ სანადირო თოფიდან ესვრის ქრისტეს, რომლითაც მანამდე ჰამის მოკვლა სურდა.

მხსნელად მოვლენილი ღვთის შვილი კაცობრიობამ ისევ სასიკვდილოდ გაწირა. „კირიელეისონის“ გალობის ფონზე შემოდის თეთრებში გამოწყობილი ბიჭი-ქრისტე, სპექტაკლის დასაწყისში ავანსცენაზე თავის მიერვე დადებულ ბიბლიას იღებს ხელში. ჰამი კლოვს ბრძანების კილოთი, დაჟინებით ეუბნება – „ესროლე, ჩააძაღლე, გამრავლდებიან და არაფერი გვეშველება!“ – კლოვი ორჭოფობს, არ უნდა ჰამის ბრძანების აღსრულება, საბოლოოდ კი, როგორც „ტემმარითი“ მონა, უფერული მასის ნაწილი, მაინც შეასრულებს ბრძანებას და ტყვიას ესვრის სიყვარულს, რწმენას, სიკეთეს, სიწმინდეს, კაცობრიობისა და სამყაროს მომავალს. პატარა ბიჭი-ქრისტე, ხელს ჩაიქნევს. რეჟისორი მუხიკითა და განათებით მაყურებლის თვალწინ საოცარ და, ამავე დროს, შემზარავ სურათს ქმნის.

ავანსცენაზე, თითქოს, უზარმაზარი ტალღა აღიმართება, რომლის მიღმა ჰამის, კლოვის, ნაგისა და ნელის აჩრდილებს დალანდავ, ისევ ბნელდება, ისევ ნათდება და სპექტაკლში მონაწილე

<sup>1</sup> Эсслин, Театр, 2010, ст. 22.

ყველა პერსონაჟი ავანსცენაზეა. დასრულდა „ჩვენი დღეების აპოკალიფსი...“. რობერტ სტურუას ინტერპრეტაციით, „თამაშის დასასრული“ კაცობრიობის გაფრთხილებაა, აპოკალიფსია, რომელიც ფორმით სცდება მონოდრამას, მორალიტეს, კარნავალურობას, ინტერაქტიურს, ეპიკურსა და არაეპიკურს.

2022 წელს გიორგი აფხაზავამ თავისივე დაარსებულ კამერულ თეატრში სემუელ ბეკეტის „ბედნიერი დღეები“<sup>1</sup> დადგა (რამდენიმე წლის წინ თუმანიშვილის თეატრში „გოდოს მოლოდინში“ აქვს განხორციელებული). აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი „სამოედნო თეატრის“ და ბეკეტისეული ხელწერის ნაზავია. რეჟისორმა 42 – გვერდიანი ნაწარმოები 7 გვერდამდე დაიყვანა, შეამოკლა და ტექსტი გადაამონტაჟა, პიესაში ნახსენები ზოგიერთი პერსონაჟი (მაგალითად, მისტერ და მისის კუშები) სცენაზე გააცოცხლა. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ბეკეტის მთავარი სათქმელი დატოვა. გიორგი აფხაზავა – „ბედნიერი დღეების“ – ერთგვარად რეჟისორ-აქტორად მოგვევლინა.

ბეკეტის „ბედნიერი დღეები“, სხვა პიესების მსგავსად, გაუცხოებულ სამყაროში ადამიანის მიერ საკუთარი თავის თუ ადგილის ძიებაზეა. არსებობისა და ყოფიერების საზრისს მოკლებული, სამყაროში „გადმოგდებული“, მიტოვებული, მარტოსული, საკუთარი ადგილის ვერმიგნები ჰომო საპიენსი ბეკეტის შემოქმედების (ზოგადად აბსურდისტების) მთავარი აზრი და სათქმელია. დეპრესიული განწყობის მიუხედავად, ბეკეტი იყენებს სარკაზმით გაჯერებულ იუმორს. ამ ხერხით, თითქოს, მკითხველსა და მაყურებელს სამყაროს აბსურდულობის აღქმას უმსუბუქებს. რეჟისორმა ბეკეტის ტექსტის სასცენო ტექსტად ინტერპრეტაციისას სარკასტული იუმორი წინ წამოსწია, შეურწყა სახალხო-სამოედნო „კარნავალური“ ხერხები და შექმნა ფერიული სანახაობა.

სარეჟისორო კონცეფციის ხაზგასასმელად, გიორგი აფხაზავამ გია ყანჩელის მუსიკა გამოიყენა, უფრო კონკრეტულად კი, კომპოზიტორის სხვადასხვა პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში არშესული მუსიკალური ფრაგმენტი სპექტაკლის სტილისტიკის განმსაზღვრელი, განწყობის შემქმნელია. ფელინისეულ ფერიასთან ასოციაციურ შედარება-გრძნობებს სწორედ ეს მუსიკა იწვევს.

<sup>1</sup> „ბედნიერი დღეები“ გიორგი აფხაზავას რამდენიმე ხნის წინ დადგმული აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.



გათანამედროვეებული და სიმბოლურ-მეტაფორული აქცენტებით გაცოცხლებული სოფო კიკაბიძის რემარკების მიხედვით შექმნილი სცენოგრაფიაც ბეკეტისეულია. უკანა ფონზე ქვიშიანი უდაბნო, ქვიშის საათი, ტელეეკრანზე სცენაზე მიმდინარე მოვლენების ასახვა, ეკრანის ციმციმი, ვინის ქოლგით დაფარული მზე ფინალში - სამყაროს დასასრული... ავტორისეული სცენოგრაფია სპექტაკლის წარმატების განმსაზღვრელია.

პიესაშიც და სპექტაკლშიც მთავარი მოქმედი პერსონაჟი ვინია - ნინო გაჩეჩილაძე, ცოტნე მაისურაძის ვილი - დამხმარე ტიპაჟია, გიორგი თენაძის და ტატა მეცხოვრიშვილის „გაცოცხლებული“ მისტერ და მისის კუშები კი სახალხო-სამოედნო თეატრის კარნავალურ ნიღბებს განასახიერებენ. ნინო გაჩეჩილაძის ვინი ტრაგი-ფარსული პერსონაჟია, ის, ცხოვრების საზრისს მოკლებული ადამიანის ფიქრებისა და გრძნობების გადმომცემი, სპექტაკლის ღერძია - სამყაროს აბსურდული ყოფის გამხმომვანებელი. პიესის სარკასტულ-იუმორისტული სათაურიდან გამომდინარე, გიორგი აფხაზავას სპექტაკლის მთავარი გზავნილი ბეკეტისეულია, ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება გრძელდება, რაც არ უნდა აბსურდული იყოს. გაჩენის დღიდან ადამიანი ყოველთვის ეძებდა პასუხს კითხვებზე: ვინ ვარ, რისთვის გავჩნდი, საით მივდივარ, რა არის ჩემი ცხოვრების, არსებობის არსი?... კითხვები, რომლებიც მუდამ არსებობდა და იარსებებს, სანამ ადამიანი იაზროვნებს, სანამ გრძნობების გამოხატვის უნარი შენარჩუნებული ექნება, არ გარდაიქმნება რობოტად, სანამ ადამიანის ცნობიერში იარსებებს რეალური და არარეალური სამყარო, სანამ დედამიწა იტრიალებს.

2023 წელს ზურაბ გეწაძემ სოხუმის დრამატულ თეატრში, დამოუკიდებელი თეატრალური კომპანია თეატრის განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში, იონესკოს „მარტორქები“ დადგა. ეჟენ იონესკოს „მარტორქა“ კონფორმიზმის, მასობრივი ისტერიის, კოლექტიური შეშლილობის, ფანატიზმის წინააღმდეგ მიმართული პამფლეტია. პიესა ადამიანური ცხოვრების, არსებობის ფატალურობის, აბსურდულობის ხატოვნად გადმოცემია. „მარტორქა“ იონესკომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაწერა. იმ პერიოდში იონესკოს პიესა ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებად აღიქვას. სინამდვილეში, იონესკომ განზოგადებულად დაგვიხატა დიქტატურის, მასობრივის ისტერიის, უპასუხისმ-

გებლობის, ყველა სიტუაციაში ადამიანად დარჩენის პრობლემა-ბი. „მარტორქები“ ზურაბ გეწაძის პირველი შეხება არ გახლავთ აბსურდის თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელთან. 2007 წელს მან თუმანიშვილის თეატრში „ქაჩალი მომღერალი ქალი“ დადგა. შემოთ განხილული სპექტაკლებისგან განსხვავებით, ზურაბ გეწაძე ზედმიწევნით სკრუპულოზურად მიჰყვება ავტორისეულ ტექსტს. თუმცა, რეჟისორმა ცვლილება პიესის სათაურში შეიტანა და სპექტაკლს „მარტორქები“ უწოდა.

რეჟისორისა და შემოქმედებითი ჯგუფის მთავარი გზავნილია, რომ აზროვნების უნარს მოკლებული, მონური ფსიქოლოგიის მქონე, მარტორქებად ქცეულ ბრბოში ჰომო საპიენსმა უნდა შეინარჩუნოს ადამიანობა ყველა სირთულის, გაუცხოების, მარტოდ დარჩენის მიუხედავად. სხვაგვარად დიდ ტლანქ ცხოველად, დიდი პირის და მცირე ზომის ტვინის მქონე მარტორქად იქცევა, რომელსაც საერთოდ არ ადარდებს საკუთარი სიცოცხლის არსის შეცნობა და მხოლოდ გამოკვების ინსტინქტი ამოძრავებს. ნათელი მაგალითისთვის, რეჟისორთან ერთად, მხატვარმა შოთა გლურჯიძემ დიდი ზომის მარტორქის ფიტული შექმნა, რომელიც დროდადრო სცენაზე ღრიალით „შემოვარდება“ ხოლმე. პიესაშიც და სპექტაკლშიც მოქმედება პროვინციულ ქალაქში ვითარდება, რომელსაც მარტორქების ჯოგი შემოესევს, მოქალაქეები ნელ-ნელა მარტორქებად გარდაიქმნებიან, პანიკურად შეშინებული მოსახლეობა მიზეზთა რკვევას იწყებს, საბოლოოდ, ბერანჟეს გარდა, ყველა მარტორქად იქცევა.

ზურა გეწაძის სპექტაკლში დრამატულობა, სარკასტული იუმორი და კომიკური ელემენტები ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის. ერთი შეხედვით „უხერხემლო“, დაბნეული, ცხოვრებაში შეუძდგარი ვანიკო თარხნიშვილის ბერანჟე ერთადერთია, ვინც ადამიანური სახის შენარჩუნება შეძლო. მაშინ, როდესაც ზურა ყიფშიძის, თითქოს, ინტელექტუალი, მაგრამ, ამავდროულად, ჯიუტი და ემოციური ჟანიც მარტორქად გარდაიქმნება. სპექტაკლში რეჟისორმა თითქმის ყველა მსახიობი დააკავა, ვინც „ქაჩალ მომღერალ ქალში“ თამაშობდა, მხოლოდ რამდენიმეა სოხუმის თეატრიდან. იმის თქმა მსურს, რომ შემოქმედებითი ჯგუფისთვის უცხო არ იყო აბსურდის თეატრის სტილისტიკა, ფორმა, ხერხები ისევე, როგორც ზურაბ გეწაძესთან მუშაობა. პიესაში არსებულ ადამიანთა მეტამორფოზები, ადამიანური სახის დაკარგვა და მარტორქებად

გარდასახვა (ნებაყოფლობითი თუ იძულებითი) რთული განსა-  
სახიერებელია როგორც საშემსრულებლო-სამსახიობო ტექნიკის  
თვალსაზრისით, ისე ვიზუალურადაც. სირთულის მიუხედავად, რე-  
ჟისორმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა იონესკოს პიესის საინტერე-  
სო ინტერპრეტაცია-კონცეფცია შემოგვთავაზეს. მძიმე და მნიშვნე-  
ლოვანი პრობლემების წარმოსაჩენად ზურა გეწაძემ, მსახიობებ-  
თან ერთად, იუმორი, სარკაზმი, დრამატულობა ერთმანეთს შეურ-  
წყა და ერთგვარი ტრაგიფარსული სპექტაკლი შექმნა.

ცხოველური ინსტინქტების მქონე, ნაცრისფერი, უსახური მა-  
სა ანგრევს ადამიანთა თვითშეგნებას, რასაც სახელმწიფოების  
ნგრევა მოჰყვება. ადამიანური აზროვნების, ინტელექტის კრიზისი  
საზოგადოებას ცხოველურ ბრბოდ, ხროვად გარდაქმნის, რასაც  
კაცობრიობა დაღუპვამდე, გადაშენებამდე მიჰყავს. იონესკოს პიე-  
საში არსებული და ზურა გეწაძის სპექტაკლში ვიზუალურად ხორ-  
ცშესხმული პრობლემა ერთ რომელიმე პროვინციულ ქალაქს არ  
ეხება, ეს შესაძლოა, მოხდეს დიდ ქალაქებში, ქვეყნებში, სახელ-  
მწიფოებში. პიესასა და სპექტაკლში პერსონაჟები, ერთის გარდა,  
მასობრივი ისტერიიდან გამომდინარე, ვერ უძლებენ მენტალურ  
ზეწოლას, უფრო მეტიც, თითქოს, ეზარებათ და სურვილიც კი არა  
აქვთ წინააღმდეგობის. ისინი (ჟანი, ლოგიკოსი, დეზი, პაპიონი და  
სხვები) თანდათანობით გარდაიქმნებიან მარტორქებად და ადა-  
მიანთა საზოგადოების წევრობიდან მარტორქათა ჯოგის წევრები  
ხდებიან. მხოლოდ ცხოვრებაში უიღბლო, გალოთებული, ვალებში  
ჩავარდნილი, უფერული ბერანჟე აღმოჩნდება სულიერად ძლიე-  
რი, რომელიც გაუძლებს ცდუნებას, არ იქცევა მარტორქად. ვინაი-  
დან იგი ინდივიდი, პიროვნება აღმოჩნდა, რომელსაც არ უჩნდება  
სურვილი, დაემსგავსოს ყველა დანარჩენს.

სტატიის დასაწყისში ჩემთვის საინტერესო საკითხი წამოვწიე:  
თუ რატომ იდგმება დღეს ასეთი სიხშირით აბსურდის თეატრის  
დრამატურგთა პიესები ქართულ თეატრში? ვფიქრობ, გაანალი-  
ზებული სპექტაკლები პასუხობს ჩემ მიერ დასმულ კითხვას. დას-  
კვნის სახით კი ვიტყვი, რომ აბსურდისტ დრამატურგთა პიესებში  
ასახული პრობლემატიკა დღესაც ძალიან აქტუალურია არა მარტო  
საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

დღეს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ომშია ჩარ-  
თული. ძალაუფლების მოსაპოვებლად სხვადასხვა სახელმწიფო  
ან შიდა ომებს აწარმოებს, ან სხვა სახელმწიფოებს ებრძვის პო-

ლიტიკური თუ ეკონომიკური ზეგავლენის, ტერიტორიული გაფართოების, სასარგებლო წიაღისეულზე ხელმისაწვდომობის და კიდევ უფრო გამდიდრების მიზნით. დღეს, 21-ე საუკუნეში, ისევ არსებობს ძალადობა, ჩაგვრა, დისკრიმინაცია, მონობა, სეპარატიზმი, გენდერული უთანასწორობა; დღეს ისევ არსებობს რელიგიური ფანატიზმი, პოლიტიკურ პირთა ფეტიშიზაცია, კერპების შექმნა ან/და „კერპთაყვანისმცემლობა“; ისევ არსებობს მონური ფსიქოლოგია, მასობრივი ისტერიები და ასე შემდეგ; დღეს მოაზროვნე ინტელექტუალი ისევ მართოსულად, გაუცხოებულად, „მტრულ სამყაროში“ გადმოგდებულად გრძნობს თავს; ადამიანი ისევ ეძიებს ჭეშმარიტი არსებობის საზრისს; დღეს, ადამიანს ისევ აქვს სამყაროს აბსურდულობის განცდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ვასაძე მ., ბეკეტის „თამაშის დასასარულის“ სტურუსული კონცეფცია, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, #1 (82), 2020, გვ. 9-26.
- ვასაძე მ., ბეკეტისეული „აბსურდი“ სახალხო სამოედნო კარნავალური თეატრიდან კამერულ თეატრამდე, ქართული თეატრის ელექტონული არქივი.  
<https://www.theatrelife.ge/beketiseuliabsurdi> 06.11.2024.
- ვასაძე მ., ედვარდ ოლბის პირველი პიესის თანამედროვე ქართული ინტერპრეტაცია, ამერიკისმცოდნეობის 21-ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, 2020, გვ. 274-280. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty\\_humanities/konf2020sabooloo.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/konf2020sabooloo.pdf) 06.11.2024.
- იონესკო ე., მარტორქა, თბ. [https://www.theatrelife.ge/\\_files/ugd/0fb0d1\\_e265b4da0b4a46038f15cf0a5863888c.pdf](https://www.theatrelife.ge/_files/ugd/0fb0d1_e265b4da0b4a46038f15cf0a5863888c.pdf) 06.11.2024.
- ოლბი ე., რა მოხდა სამხეცეში, თბ. [https://www.theatrelife.ge/\\_files/ugd/0fb0d1\\_f0a5efbb84884b888ca596fae4744aba.pdf](https://www.theatrelife.ge/_files/ugd/0fb0d1_f0a5efbb84884b888ca596fae4744aba.pdf) 06.11.2024
- ლოლობერიძე ი., თანამედროვე ფრანგული თეატრი, თბ., 2005.
- Albee Edward, American Author, Encyclopedia Britannica.  
<https://www.britannica.com/biography/Edward-Albee> 06.11.2024.
- Theatre of the Absurd, Encyclopedia Britannica.  
<https://www.britannica.com/art/Theatre-of-the-Absurd> 06.11.2024.
- Беккет С., Конец игры. Москва, 1998.  
<https://lib-drama.narod.ru/bekket/endofgame.html> 06.11.2024.
- Эсслин М., Театр абсурда, 2010.  
<https://avidreaders.ru/read-book/teatr-absurda.html> 06.11.2024.

# კინოგამოცდნობა



**ზვიად დოლიძე,**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

**რეზიუმე**

ფრანგული კინოწარმოება კომერციულ რელსებზე იყო ორიენტირებული და ამისკენ წავიდა „ახალი ტალღელების“ მნიშვნელოვანი ნაწილიც, თუმცა, ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, კოსტა-გავრასი, ჟან-ლუკ გოდარი) გადაერთო სუფთა პოლიტიკურ კინოზეც, რომელსაც დიდი შემოსავალი ვერ მოჰქონდა. კინემატოგრაფისტებს ხშირად უწევდათ ცენზურისა და შემოქმედებითი თავისუფლების პრობლემებთან შეჯახება, რისი გადალახვაც არც ისე იოლი საქმე გამოდგა. ფრანგული პროდუქცია წარმატებით გადიოდა უცხოეთის კინოეკრანებზე, რამაც გამოიწვია კონკურენციის გაძლიერება ჰოლივუდის მხრიდან. სახელგანთქმულმა კინოკომპანიებმა, „პატემ“ და „გომონმა“, გააერთიანეს თავიანთი კინოქსელები და მსხვილ დემონსტრატორად ჩამოყალიბდნენ. ახალმა გამოწვევებმა წარმოშვა საწარმოო ხარჯების ზრდა, დისკუსი-

ები განვითარების ახლებური გზების მოსაძიებლად, ექსპერიმენტები ფილმის თხრობით ფორმებში, თემებსა და ჟანრებში.

ეროვნულ კინოს დაეუფლა „ახალი ტალღის“ ნოსტალგია, რამეთუ ეს მხატვრული მიმდინარეობა საეტაპო პერიოდი იყო კინოწარმოებაში. მისგან შემკვიდრეობის მიღება რთულ ამოცანას წარმოადგენდა ახალბედა კინორეჟისორებისათვის, იმხანად თამამად რომ გამოდიოდნენ ასპარეზზე. მთავრობა მრავალმხრივ ეხმარებოდა კინემატოგრაფისტებს, რის შედეგადაც გაიზარდა ფილმების რაოდენობაც და მათი შემოსავალიც. ეკრანზე აღიბეჭდებოდა ეპოქის არსი, ყურადღება მახვილდებოდა მიმდინარე პოლიტიკურსა და სოციალურ სასიკეთო ძვრებზე. კინოკრიტიკაში გაჩნდა ახალი ტერმინები – „ახალი ხარისხი“, „ახალი ნატურალიზმი“, „ახლებური მიდგომა“, თუმცა,

ზოგი კინორეჟისორი უფრო ახლებურად აგრძელებდა ძველებურ მოდას, ვიდრე მართლა რაიმე ახალ სიტყვას ამბობდა.

„პატე-გომონის“ გაერთიანება უკვე ფლობდა 238 კინოთეატრს (ეროვნული კინობაზრის 30%-ს), რომელთაგანაც 67 პარიზში იყო განთავსებული. მსგავს გადაჯგუფებას სხვა კომპანიებიც ეწეოდნენ. უმეტესი მათგანი ყიდულობდა პატარა კინოთეატრებს და აერთიანებდა მათ საკუთარ კინოსელში. ამის საპირისპიროდ, არარენტაბელურობის გამო, ასობით კინოდარბაზი იხურებოდა სასოფლო ადგილებში. ტელევიზია კვლავაც ართმევდა მაყურებელს კინოს – იმჟამად მოსახლეობაში 12 მილიონი ტელევიზორი იდგა. ამასთან საკონკურენციოდ კინომწარმოებლები სარისკო საქმეზეც კი მიდიოდნენ და ზოგიერთი

ფილმის ორასზე მეტ ასლს უშვებდნენ.

ფრანგებს ძალიან უნდოდათ, რომ მათი კინოხელოვნება გამხდარიყო ეპოქის სარკე, რომელიც თამამად აირეკლავდა მიმდინარე ფაქტებსა და მოვლენებს, მაგრამ ეს სურვილი არარეალური იყო. ამასობაში, ეროვნულ კინოწარმოებაში წამოიწყეს რეორგანიზაცია, რის ფონზეც არსებული სავალალო საკითხები გამოიკვეთა, ხოლო ამის გამოსწორებას დროც სჭირდებოდა და მუხლჩაუხრელი შრომაც. ფილმების საერთო მხატვრული დონე ვეღარ პასუხობდა კრიტიკას. 1975 წლის 8 ნოემბერს პარიზში, ელისეს მინდვრებზე, გაიმართა კინოს მხარდამჭერი მანიფესტაცია, რაშიც მონაწილეობდა ათასობით კინემატოგრაფისტი. მათი ლოზუნგი იყო – „ფრანგულმა კინომ უნდა იცოცხლოს!“.



---

---

## ჟანრული მრავალფეროვნება 1970-იანი წლების ფრანგულ კინოში

*საკვანძო სიტყვები: ჟანრები, კინოწარმოება, „ახალი ტალღა“,  
კინოჟურნალები, კინობაზარი*

ფრანგული კინოწარმოება კომერციულ რელსებზე იყო გადასული და ამისკენ წავიდა „ახალი ტალღელების“ მნიშვნელოვანი ნაწილიც, თუმცა, ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, კოსტა-გავრასი, ჟან-ლუკ გოდარი) გადაერთო სუფთა პოლიტიკურ კინოზეც, რომელსაც დიდი შემოსავალი ვერ მოჰქონდა. კინემატოგრაფისტებს ხშირად უწევდათ ცენზურისა და შემოქმედებითი თავისუფლების პრობლემებთან შეჯახება და მათი გადალახვა არც ისე იოლი საქმე გამოდგა. ფრანგული პროდუქცია წარმატებით გადიოდა უცხოეთის კინოეკრანებზე, რამაც გამოიწვია კონკურენციის გაძლიერება ჰოლივუდის მხრიდან. სახელგანთქმულმა კინოკომპანიებმა, „პატემ“ და „გომონმა“, გააერთიანეს თავიანთი კინოქსელები და მსხვილ დემონსტრატორად ჩამოყალიბდნენ. ახალმა გამოწვევებმა წარმოშვა საწარმოო ხარჯების ზრდა, დისკუსიები განვითარების ახლებური გზების მოსაძიებლად, ექსპერიმენტები ფილმების თხრობით ფორმებში, თემებსა და ჟანრებში.

აუდიტორიის უმეტესობა ირჩევდა ისეთ კინოსურათებს, რომლებშიც აჩვენებდნენ ქუჩებს, ქალაქებს და, ზოგადად, ცხოვრებას, როგორც მათ ყოველდღიურ რუტინას, მოკლებულს ყოველგვარ სიახლესა და სასარგებლო აქტივობას. ასეთი ნამუშევრების მთავარი გმირები აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ სწორედ მაყურებლის მსგავსი ადამიანები, რომლებიც ოცნებობდნენ უკეთეს მომავალზე, იზიარებდნენ არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სიძნელეებს და იღვწოდნენ კიდევ მათ გამოსასწორებლად. კინოთეატრებს პუბლიკა არ აკლდა. ფრანგები ოჯახებით დადიოდნენ ახალი ფილმის სანახავად და გაცხოველებით მსჯელობდნენ მის ავკარგიანობაზე.

ამერიკულ განგსტერულ კინოსთან გაჯობების წარმატებული მცდელობაა ჟან-პიერ მელვილის კინოსურათი „წითელი წრე“ (1970). ამ განსაკუთრებული დრამატულობით გამორჩეულ კრიმინალურ თრილერში კვლავაც გამოჩნდა მელვილის კინოსარეჟისორო ხელწერის უნიკალური სტილი, რომლის მეოხებით მან,

როგორც ინტელექტუალმა და უზომოდ შრომისმოყვარე კინოხელოვანმა, აჩვენა მოულოდნელი სვლების შემცველი სიუჟეტი და უემოციო, გულცივი პერსონაჟები. ფილმი საუკეთესო სამსახიობო გუნდითაც იყო გამორჩეული. მასში მონაწილეობდნენ: ალენ დელონი, ჯან მარია ვოლონტე, ივ მონტანი, ფრანსუა პერიე და ბურვილი (ანდრე რემბური). აღსანიშნავია, რომ ცნობილმა კომიკოსმა ბურვილმა შესანიშნავად განასახიერა ცბიერი პოლიციელის როლი.

საკმაო შემოსავალი მოიტანა ჟაკ დერეს განგსტერულმა ფილმმა „ბორსალინო“ (1970), ისტორიულ ფაქტებზე აგებულმა ეკრანიზაციამ, რომლის ძირითადი პროდიუსერი იყო ალენ დელონი. მანვე ითამაშა მთავარი როლი, ხოლო პარტნიორად მიიწვია ჟან-პოლ ბელმონდო. კინოსურათში აისახა 1930-იანი წლების მარსელში მიმდინარე კრიმინალური მოვლენები. გადამღები ჯგუფი აპირებდა, მთავარი გმირებისათვის დაერქმია რეალურად არსებული ბანდიტების სახელები და გვარები, მაგრამ მარსელის დამნაშავეთა სამყაროდან ისეთი მუქარა მიიღო, რომ გადაწყვეტილება შეცვალა. ეს ფილმი ამერიკულ კინოსადემონსტრაციო ქსელშიც მოხვდა და იქაური კინოკრიტიკოსების მოწონებაც დაიმსახურა.

პოპულარულ კინორეჟისორად რჩებოდა კლოდ შაბროლი, ერთ-ერთი პირველი, „ახალი ტალღიდან“ რომ გადავიდა ჟანრულ კინოზე. მის ნამუშევრებს მაყურებელი ყოველთვის ჰყავდა, ამიტომ ისინი არასოდეს მდგარან კომერციული წარმატებლობის საშიშროების წინაშე. შაბროლის მორიგი კინოსურათი „ყასაბი“ (1970) წარმოადგენდა ალფრედ ჰიჩკოკის სტილის აშკარა გავლენით გაკეთებულ ფსიქოლოგიურ თრილერს პატარა სოფელზე, მის პროვინციულ ბურჟუაზიაზე. ამით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ამ რეჟისორის უნარი, რომ ეკრანზე წარმოესახა ინტრიგა, დაძაბულობა და შარჟი.

უდავოდ გამორჩეული შემოქმედი იყო ერიკ რომერი, რომელიც ფაქიზად ქმნიდა საკუთარ მიკროსამყაროს. იგი დამაჯერებლად აღწერდა პერსონაჟების ემოციებს, ყოყმანს, მორალურ დილემებს და სპეციფიკურ გარემოს, თუმცა, „განზრახ ზღუდავდა საკუთარი ინტერესების სპექტრს და შეგნებულად გამორიცხავდა გარკვეულ ჰუმანურ პრობლემებს, მათ შორის, სოციალურსა

და პოლიტიკურ თემატიკას<sup>1</sup>. მისი ფილმი „კლერის მუხლი“ (1970), ადამიანის ფსიქოლოგიის თავისებური გამოკვლევა, ეძღვნებოდა სხვადასხვა ასაკისა და სქესის წარმომადგენლების ურთიერთობებს, მამაკაცის ეროტიკულ ლტოლვას ქალებისადმი. რომერის გმირების მგრძობელობა ყოველთვის ემორჩილებოდა გონებას. ამ კინოსურათს წინ გამოჰქონდა იმდროინდელი საზოგადოების ზნეობრივი პრინციპების ცვლილებები, სინამდვილის ჰარმონიზაცია, საინტერესო დიალოგები და მიზანსცენები.

ეროვნულ კინოს დაეუფლა „ახალი ტალღის“ ნოსტალგია, რამეთუ ეს მხატვრული მიმდინარეობა საეტაპო პერიოდი იყო კინოწარმოებაში. მისგან შემკვიდრეობის მიღება რთულ ამოცანას წარმოადგენდა ახალბედა კინორეჟისორებისათვის, იმხანად თამამად რომ გამოდიოდნენ ასპარეზზე. მთავრობა მრავალმხრივ ეხმარებოდა კინემატოგრაფისტებს, რის შედეგად გაიზარდა ფილმების რაოდენობაც და მათი შემოსავალიც. ეკრანზე აღიბეჭდებოდა ეპოქის არსი, ყურადღება მახვილდებოდა მიმდინარე პოლიტიკურსა და სოციალურ სასიკეთო ძვრებზე. კინოკრიტიკაში გაჩნდა ახალი ტერმინები – „ახალი ხარისხი“, „ახალი ნატურალიზმი“, „ახლებური მიდგომა“, თუმცა, ზოგი კინორეჟისორი უფრო ახლებურად აგრძელებდა ძველებურ მოდას, ვიდრე მართლა რაიმე ახალ სიტყვას ამბობდა.

ლუი მალის პიკანტურ ფილმს „გულისფეთქვა“ (1971) საფრანგეთის ეროვნულმა კინოცენტრმა არ მოუწონა სცენარი და უარი თქვა მის დაფინანსებაზე, მაგრამ ეს საქმე იკისრა ამერიკული „ფარამაუნთის“ ერთმა ფრანგულმა შვილობილმა კინოკომპანიამ. ავტორმა მასში გამოიყენა ავტობიოგრაფიული მომენტები: ჯაზის სიყვარული, მხატვრული ლიტერატურით დაინტერესება, უფროსი ძმების ტირანული დამოკიდებულება მის მიმართ. ფილმის მთავარი გმირი იყო მოწიფულობის ასაკში შესული, დაკომპლექსებული და არანორმალური სურვილების მქონე მოზარდი, რომელსაც უწევდა ურთიერთობებში გარკვევა საკუთარი ოჯახის წევრებთან.

პოლიტიკურმა კინომ, პოპულარობის ზრდის ტემპის მეოხებით, თანდათანობით წამოიწყო რამდენიმე ათწლეულის წინ დაბადებული, კრიმინალური ფილმების ჩანაცვლების პროცესი. მისი ფორმულის განსაზღვრის მცდელობისას ჟან-ლუკ გოდარმა განა-

<sup>1</sup> Lanzoni, French, 2015, p. 285.

ვითარა ექსპერიმენტული მუშაობის იდეა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა კონცეპტუალურად და ტექნიკურად გამართული. ამან კი დათრგუნა მისი მრავალი თაყვანისმცემელი, თუმცა, სპეციალისტებს მისცა საბაბი, გულმოდგინედ გამოეკვლიათ ამ კინორეჟისორის ახლებური ნარატივები. გოდარმა და ჟან-პიერ გორენმა გადაიღეს პოლიტიკურად დამუხტული ფილმი, „ყველაფერი რიგზეა“ (1972), რომელშიც აჩვენეს კაპიტალისტური სამყაროს ნაკლოვანებები და ფრანგული საზოგადოების ოპტიმიზმის დაცემა. მიუხედავად იმისა, რომ მასზე დაიხარჯა დიდი თანხა, კინოსურათმა 100 000 მაყურებელსაც კი ვერ მოუყარა თავი.

პოლიტიკური თრილერის უფრო დახვეწილი ოსტატი გამოდგა კოსტა-გავრასი, რომელიც აღმავლობას განიცდიდა. მემარცხენე პოლიტიკური ძალები მას აძაგებდნენ პატრიოტული შეხედულების უქონლობისათვის, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება მალევე ჩაქრა, ვინაიდან ამ უკანასკნელს არასოდეს ჰქონია საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი. კოსტა-გავრასის მორიგი ნამუშევარი „საალყო მდგომარეობა“ (1972) ეხებოდა ამერიკული სპეცსამსახურების საქმიანობას ურუგვაიში და ნახევრად დოკუმენტური მანერით გადმოსცემდა მძაფრ ამბავს, აუღელვებლად რომ ვერ უცქერდა აუდიტორია.

ბატონების რიტუალი ხალხური ცეკვის მკვლევართათვის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ცალსახად და მკაფიოდ წარმოადგენს სინკრეტული ხელოვნების ნიმუშს. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საცეკვაო ხელოვნების მაგიურ-რელიგიური დანიშნულებით გამოყენებას. ისევე როგორც სხვა მრავალი სოციალური ასპექტი, მედიცინაც რელიგიურ-რიტუალური ქმედების საფუძველზე არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ყოფისათვის ნაცნობი იყო ერთგვარი „ფარმაცევტიკა“, ამ კონკრეტული დაავადების საწინააღმდეგოდ ჩვენი წინაპრები რიტუალურ გზას ირჩევდნენ, ვინაიდან ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზად ზებუნებრივი ძალების გაღიზიანება მიიჩნეოდა.

რელიგიური მიზეზით დაავადებული ორი სახის „პერსონა“ გვყავს ქართულ „სარიტუალო პრაქტიკაში“ - „დამიზმებულხატის დაჭერილი“ და „სახადიანი ავადმყოფი“. სწორედ სახადიანი ავადმყოფის განსაკურნებლად იმართებოდა „ბატონების რიტუალი“. „გარკვეულ დაავადებას თუ დაავადებათა გარკვეულ ჯგუფს (ნევრო-ფსიქიკური, თვალის, ქალის სნეულებები და სხვა) თავისი ხატი, თავისი ღვთაება ჰყავდა, რომელსაც შესთხოვდნენ განკურნებას. თითოეული მათგანისათვის შემუშავებული იყო სათანადო რიტუალი, წესი. „ბატონების“ კულტთან და „ხატის მიზეზთან“ დაკავშირებული რიტუალების გარდა, საქართველოში არსებობდა სხვადასხვა სახის სამედიცინო-რელიგიური რიტუალი, შელოცვა და სხვა“<sup>1</sup>.

ბატონების რიტუალს და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს მრავალი მეცნიერის აღწერაში ვხვდებით, თუმცა, ნაშრომში ვეყრდნობი და განვიხილავ ლილი გვარამაძის მიერ მოყვანილ ვარიანტს, ვინაიდან იგი ქმედებას განიხილავს პროფესიული კუთხით. მის მიერ წარმოდგენილ აღწერაში მთელი რიგი საინტერესო გარემოებებია ქორეოგრაფიული თვალსაზრისით. ჩვენი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცეკვის მკვლევართა ინტე-

---

<sup>1</sup> შენგელია, მაგიური, 2022, გვ. 41.

რესს წარმოადგენს ბატონების რიტუალის ქორეოგრაფიული სურათი, საცეკვაო ელემენტები და პლასტიკური თავისებურებები.

„ძველად ფიქრობდნენ, რომ ყვავილსა და წითელას იწვევდნენ ავადმყოფში ანგელოზების, ეგრეთ წოდებული „ბატონების“ დასახლება. ჩვეულებრივ გაისმოდა ჩონგურის ხმა და „იავნანას“ სიმღერა; ქალები რომლებიც ავადმყოფის გარშემო იყვნენ, ართობდნენ „ბატონებს“ ცეკვით, ამასთან, მოცეკვავეები სულ მთლად შიშვლდებოდნენ. ნამდვილ სამკურნალო საშუალებებს არ იყენებდნენ, რადგან ეს „ბატონებს“ არ სურდათ და ისინი სჯიდნენ იმათ, ვინც გაბედავდა მათთან ბრძოლას წამლებით.

ცეკვებს თან ახლდა ეგრეთ წოდებული სააქიმო ან სამკურნალო სიმღერები – „იავნანა“ და „ბატონებო“, ან „საბოდიშო“. სამკურნალო ცეკვა „იავნანას“ თანხლებით უფრო ხშირად გვხვდება ქართლსა და კახეთში, ნაწილობრივ რაჭის რაიონში.

„ბატონებოს“ ან „საბოდიშოს“, რომლებიც „იავნანასაგან“ განსხვავდებიან მუსიკალური შინაარსით, ასრულებდნენ დასავლეთ საქართველოში – იმერეთსა და გურიაში.

ცეკვის თანხლები ორივე სიმღერა სრულდება: პირველი – „იავნანა“, „andante“ და მეორე – „საბოდიშო“, „andante cantabile“. სიმღერის ზომა განსაზღვრავს ცეკვის ნახაზის ტემპსა და რიტმს. ეს საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ცეკვა აგებული იყო ნელ, დამაკავშირებელ მოძრაობაზე, რაც ძალიან ეხმაურებოდა შემსრულებელთა შინაგან მდგომარეობას“.<sup>1</sup>

მიუხედავად ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციებისა, სამწუხაროდ, ლილი გვარამაძე შემოიფარგლება საცეკვაო მოძრაობების ზოგადი დახასიათებით, არ ხდება რიტუალში არსებული საცეკვაო ლექსიკის იდენტიფიცირება. ზემოთ მოყვანილი აღწერიდან, ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ იმის შესახებ, რომ რიტუალში არსებული პლასტიკა წარმოდგენილი იქნებოდა ზოგადქართული საცეკვაო ლექსიკით, კუთხური დიალექტების გათვალისწინებით. ქართული ხალხური ქორეოგრაფია მდიდარია სხვადასხვა სახის საცეკვაო მოძრაობებით, სვლებით, ილეთებით, ქალთა საცეკვაო პლასტიკის შემთხვევაში, ერთ, ორ და სამსახსროვანი ხელის მოძრაობებით. აღნიშნული სასიმღერო რეპერტუარის გათვალისწინებით, რაიმე დინამიკური „დავლის“

<sup>1</sup> გვარამაძე, ქართული, 1957, გვ. 37-38.

შესრულება მიზანშეუწონლად მიმანია, მაგრამ ორ დაკვრითი ან სამდაკვრითი სვლები, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში სვლები სამი მიმართულებით გვხვდება – წინსვლა, გვერდზე სვლა და უკუსვლა. ვფიქრობ, ამ რიტუალში სამივეს გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა, რადგან წარმოუდგენლად მიმანია სხეულის მხოლოდ ერთ პოზიციაში დაფიქსირება მთელი პროცესის მანძილზე, მით უმეტეს, სოციუმში უკვე არსებობდა საცეკვაო ხელოვნებაში მრავალფეროვანი შესრულების გამოცდილება. ბატონების რელიგიურ გააზრებასა და ქართველთა წარმართობისათვის ცნობილია სხვადასხვა საკულტო დანიშნულების რელიგიურ-რიტუალური ფერხულები და ცეკვები, რომელთა შესრულებაც კარგად იცნობს ზემოხსენებულ რაკურსებს. ძირითადად, ავთენტურ საშემსრულებლო ხელოვნებაში საცეკვაო მოძრაობები მაღალი სირთულით არ გამოირჩევა, მათი წრიულად შესრულება შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი მიმართულებით.

რიტუალში, წმინდა საცეკვაო ნაწილის გარდა, უმნიშვნელოვანესია მისი საშემსრულებლო ფორმა. თუ გავითვალისწინებთ ვერა ბარდაველიძის აღწერას, რომელშიც ნათქვამია, რომ „ავადმყოფს გარს უვლიდნენ „ბატონების“ „ქურუმი“ (ეგრეთ წოდებული ბატონების მამიდა, ანუ მებოდიშე) სახადიანის მახლობელი ნათესავები და მეზობლები“<sup>1</sup>, სავარაუდოა, რომ ასე მკაფიოდ გამოკვეთილი პერსონაჟი, „ბატონების მამიდა“ რიტუალს ხელმძღვანელობდა. შემსრულებელთა კლასიფიკაცია ერთგვარად ახდენს მისტერიის ფორმის განსაზღვრას. „გარშემოვლა ხდებოდა ერთი მხრით ცეკვითა და გალობით, მეორე მხრით – დახოქილად, დაოთხილად და ფოფხვით“<sup>2</sup> წრიულ საცეკვაო ქმედებასა და გამოკვეთილ პერსონაჟზე ამახვილებს ყურადღებას ნინო მინდაძეც, ამბობს, რომ „თავშემოვლა ცეკვით სრულდებოდა. იცეკვებდა ავადმყოფის დედა, ბებია, მამიდა ან სპეციალურად მოწვეული მებოდიშე“<sup>3</sup>. რიტუალში სახელდებული პერსონაჟი გვაძლევს საფუძვლს, ვიფიქროთ, რომ ცეკვა „წინამძღოლის“ მეშვეობით ვითარდებოდა. ასეთ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია შემსრულებელთათვის მითითების საფუძველზე სხვადასხვა სახის სვლებისა და მოძრაობე-

<sup>1</sup> ბარდაველიძე, ქართული, 1953, გვ. 130.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>3</sup> მინდაძე, ქართველი, 2013, გვ. 226.



ბის გამოყენება, მით უმეტეს, უკვე ჩამოთვლილი სვლები კარგად ადაპტირდება ზედა კიდურების მოძრაობისას, იგი კი არ ზღუდავს მოცეკვავეს, არამედ პირიქით, ხელს უწყობს საკუთარი ხასიათის გადმოცემაში.

ლილი გვარამაძის მიერ მოწოდებულ სანოტო მასალაში მითითებული იავნანა ნ/8-ია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მუსიკალური ზომა ქართულ საცეკვაო ფოლკლორში ხშირად ფიქსირდება. სანოტო მასალის მიხედვით შესრულებული იავნანას რიტმი ძალიან ჰგავს თანამედროვე სასცენო ქორეოგრაფიაში არსებულ ცეკვა „სამაიას“ რიტმს. არც თუ იშვიათად ვხვდებით იავნანასაც ცეკვა სამაიას მუსიკალურ გაფორმებაში. ავთანდილ თათარაძეს სამაიას სვლების მეთოდური აღწერისას დაფიქსირებული აქვს ოთხი სახის სვლა: „რბილი სვლა“, „სამნაბიჯიანი წინსვლა“, „სამნაბიჯიანი წინსვლა ფეხგადგმით“ და „ქუსლმოქნევით გვერდზე სვლა“.<sup>1</sup> მართალია, თათარაძისეული სვლები თანამედროვე სასცენო ქორეოგრაფიიდან არის მოყვანილი, მაგრამ აღნიშნული მოძრაობები მუსიკის ხასიათითაა ნაკარნახევი და სრულად ემთხვევა რიტმში არსებულ მუსიკალურ მახვილებს. ამას გარდა, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე სამაიას საცეკვაო პლასტიკას, იგი მისი თვისობრივი მახასიათებლებით ძალიან ახლოს დგას „ნელ და დამამშვიდებელ მოძრაობებთან“. სიმღერაში არსებული მუსიკალური სტრუქტურა და მისი საშემსრულებლო ტემპო რიტმი თავისთავად განაპირობებს საცეკვაო პლასტიკის თავისებურებას. სასიმღერო ნაწარმოები განსაზღვრავს კონკრეტული საცეკვაო ილეთისა თუ სვლის თავისებურებას, ნაბიჯის გადადგმის რაკურსსა თუ მოძრაობის მიმართულების განვითარებას. უმრავლეს შემთხვევაში მუსიკალურ ნაწარმოებში არსებული სახასიათო „პასაჟების“ საფუძველზე ყალიბდება სხეულის პლასტიკის მრავალფეროვნება. აღნიშნულ რიტუალში ცეკვა ჯგუფურად სრულდება, რაც გულისხმობს გარკვეულწილად სინქრონიზაციას. ქმედება რომ ორგანიზებულად მიმდინარეობდა, ამას ვერა ბარდაველიძეც ადასტურებს და ლილი გვარამაძეც. თუმცა, მიზანშეწონილად მიმაჩნია ავთენტურ ხელოვნებაში არსებული გარკვეული ტიპის იმპროვიზაცია. მე არ ვამტკიცებ, რომ „ბატონების“ რიტუალი თანამედროვე სასცენო პლასტიკით მიმდინარეობდა, მაგრამ იმის თქმა

<sup>1</sup> თათარაძე, ქართული, 2010, გვ. 362.

შეიძლება, რომ თანამედროვე სასცენო პლასტიკა განპირობებულია ხალხური საწყისებით. ვფიქრობ, აღნიშნულ რიტუალში ქალის ცეკვა გაცილებით მრავალფეროვანი იყო მთელი რიგი მიზეზების გამო. ერთი მხრივ, სხეულის გაშიშვლებისას შესრულებული მოძრაობები საკუთრივ ახალი საცეკვაო პლასტიკის წარმოშობას განაპირობებდა, რაც თავისთავად ერთობ საინტერესოა შემოქმედებითი თვალსაზრისით. მეორე მხრივ, დაჩოქილი, დაოთხილი, მიწაზე ფოფხვით რიტუალის შესრულება აღიქმება როგორც „პარტერში“ წრიულად

შესასრულებელი საცეკვაო მოძრაობები. ბატონების რიტუალში თავისი სპეციფიკით არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ქალების მიერ შესრულებულ საცეკვაო მისტერიებს შორის, ვინაიდან, არც ერთ აღწერაში არ ფიქსირდება საფერხულო მსვლელობა ხელმოხებით, ან ხელიხელგადახვეული, ან ხელჩაკიდებული. ვფიქრობ, რომ ზედა კიდურები აქტიურ საცეკვაო ფაზაში იყო. ზოგადად, ქართული საცეკვაო კულტურა ითვალისწინებს ქალთა საცეკვაო პარტიებში ზედა კიდურების აქტიურ და მრავალფეროვან მოძრაობას. ბატონების რიტუალში ყველა მონაწილე ინდივიდუალურად ასრულებს საცეკვაო ქმედებას საკუთარი რეკვიზიტისა თუ აქსესუარის გამოყენებით. შესაძლოა, შეხება გვექნდეს ჯგუფურად შესრულებულ ქალთა ცეკვის პირვანდელ სახესთან და არა მხოლოდ ფერხულთან.

რაც შეეხება სიმღერას „ბატონებო“, ვფიქრობ, ზემოთ გამოთქმული ვარაუდები საცეკვაო პლასტიკასთან დაკავშირებით სრულად მიესადაგება დასავლეთ საქართველოში არსებულ საცეკვაო დიალექტებსაც. საგულისხმოა რიტუალში ჩონგურის გამოყენება, უმეტეს შემთხვევაში ინსტრუმენტზე შესრულებული მუსიკა გავლენას ახდენს ნაწარმოების შინაარსზე და, ამავდროულად, გარკვეულ დინამიკას მატებს მას, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკალური ნაწარმოების შინაარსი და მისი აღქმის თავისებურება განაპირობებს საცეკვაო დიალექტის ფორმირებას.

ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების პროცესს ანაზღოვანებს სამსონაძე ორ ძირითად ფაქტორს უკავშირებს: „საცეკვაო ხელოვნების წარმოშობის ფაქტორების სქემატური გამოსახულება მათი ორ ჯგუფად დაყოფას ითვალისწინებს: პირველი - ფსიქოფიზიოლოგიური ფაქტორების ჯგუფი და მეორე - ეთნოფაქტორე-

ბის ჯგუფი“.<sup>1</sup>

ფსიქო-ფიზიოლოგიური ფაქტორებიდან სამსონაძე დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანის მუსიკალურობას: „მუსიკალურობა არის ცეკვის თანმხლები მუსიკის შესაბამისი აღქმა. მუსიკის მელოდიური ნაკადი მნიშვნელოვანწილად ცეკვის ემოციურ დატვირთვას განსაზღვრავს“.<sup>2</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მუსიკალური თანხლება განაპირობებს საცეკვაო პლასტიკას. რა თქმა უნდა, „ბატონებს“ შემთხვევაში ჩონგურზე შესრულებული მელოდია გახლავთ „მოცეკვავეთათვის“ ინსპირაციის წყარო.

სრულად ვიზიარებ გვარამაძის აზრს, რომ „ცეკვის ნახაზის ტემპსა და რიტმს სიმღერა განაპირობებს“, თუმცა, ვფიქრობ, ეს უკანასკნელი ამავდროულად ზემოქმედებს საცეკვაო ილეთების შესრულების ტემპსა და რიტმზე. რაც შეეხება ნელ და დამაკავშირებელ მოძრაობებს, მეცნიერის მიერ გამოყენებული ტერმინები ქორეოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან მიგნებად მიმაჩნია, რადგან, როგორც ლიტერატურული ტექსტის შემთხვევაში არსებობს „კავშირები“ (მაგალითად „და“ კავშირი), ასევე ქორეოგრაფიული ტექსტის შემთხვევაშიც ფართოდ გამოიყენება მსგავსი კავშირი, რომელიც წარმოადგენს „საცეკვაო წინადადების“ გამოთქმის საშუალებას და ერთგვარ საცეკვაო რეპლიკას ახალი მოძრაობის დასაწყებად.

ბატონების რიტუალში არსებულ ცეკვებზე და მათ თავისებურებებზე ფრიად საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ოთარ ჩიჯავაძე: „საზოგადოდ ეს საგალობელი წყნარად, ზოგჯერ საკრავის (ფანდურის, ჩონგურის, ჭიანურის) თანხლებით სრულდება. საცეკვაოებიდან ასრულებდნენ გაშლილ და წრიულ ფერხულებს, ქართულს, თამაშს ძუნძულით, ხტომით ბუქნაობით. ზოგიერთი ძონძეში გამოწყობილი ან სავსებით შიშველი ცეკვავდა და მღეროდა“.<sup>3</sup> აქ ნახსენები წრიული ფერხულები თავისთავად გარშემოვლებად და თავშემოვლებად მიიჩნევა, რაც შეეხება ცეკვა ქართულს, ვფიქრობ, ერთი მხრივ, აღნიშნული შედარება აახლოებს მას მონა ქალის ცეკვასთან (ხშირ შემთხვევაში ეთნოგრაფები ახსენებენ ცეკ-

<sup>1</sup> სამსონაძე, ქორეოლოგიის, 2020, გვ. 93.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 96-97.

<sup>3</sup> ჩიჯავაძე, ქართული, 2009, გვ. 28.

ვა ქართულს ან ლეკურს), ხოლო მეორე მხრივ, ამგვარი მიდგომა შესაძლებელია, გამოწვეული იყოს ავთენტური საშემსრულებლო ხელოვნების სიმარტივიდან გამომდინარე. თანამედროვე გავებით „ცეკვა ქართული“ ძნელად სავარაუდოა, ჩემი აზრით, ნაგულისხმევი უნდა იყოს ზოგად ქართული ქალის საცეკვაო პლასტიკა. ოთარ ჩიჯავაძის აღწერაში დასახელებული საცეკვაო ფორმები, კონკრეტული ცეკვა თუ საშემსრულებლო მახასიათებლები ზუსტად ასახავს ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში არსებულ ილეთებსა და მოძრაობებს. ხტომი, ბუქნაობა თუ თამაში ძუნძულით ნაცნობია ჩვენი ერის საცეკვაო დიალექტიკისათვის, რომელიც ფიქსირდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ზემოჩამოთვლილი „ილეთების“ არსებობა ლიტერატურულ წყაროებშიც დასტურდება. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში თუ სხვა. მართალია, საგალობლების შესრულებისას წარმოუდგენლად მიმჩნია ბუქნაობის ან ხტომითი მოძრაობების შესრულება, თუმცა, ქმედების კულმინაციურ ნაწილში აღნიშნული დასაშვებია, რადგან რიტუალებში საცეკვაო პლასტიკას თავისი სიმბოლური დატვირთვაც გააჩნია. ბატონების რიტუალში საკრავიერი მუსიკის გაჩენა მნიშვნელოვნად ცვლის არსებულ სურათს, რადგან ინსტრუმენტის თანხლებით შესრულებული საცეკვაო მუსიკა კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს საშემსრულებლო პლასტიკას და დინამიკურს ხდის მას.

ვინაიდან აღნიშნული რიტუალი ფიქსირდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ასევე სამცხე-ჯავახეთსა თუ საქართველოს მთიან რეგიონებში, შეიძლება ითქვას, რომ ბატონების რიტუალი წარმოადგენს ზოგად ქართულ რელიგიურ გააზრებას, „ქართლელების, კახელების, მესხების, ჯავახელების და სხვა მოსახლეობის რწმენის თანახმად, ბარაბაღე სახადის დედაა, რომლის შვილებდაც იწოდებოდნენ: ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, ყივანახველა, და მისთანანს საერთო სახელად „ბატონები“ ჰქვია“.<sup>1</sup>

ჩემი მოკრძალებული აზრით, ზემოხსენებულ რეგიონებში დაფიქსირებული მუსიკალური დიალექტების გათვალისწინებით იქნებოდა წარმოდგენილი რიტუალებში არსებული საცეკვაო პლასტიკა, მაგალითად, მკლავების მოძრაობა-მიდგომარეობებს შემდეგნაირად აღწერს დავით ჯავრიშვილი: „ერთი და იგი-

<sup>1</sup> ბარდაველიძე, ქართველთა, 1941, გვ. 52.

ვე მიმართულებით (ტოლმხრივად), სხვადასხვა მიმართულებით (ნაირმხრივად), ერთდროულად, ნაირდროულად, თანმიმდევრობით (მიმყოლად), შიგ, გარე, ქვე, წინ, უკან, მარჯვნივ ან მარცხნივ, წრეგვარად, რკალგვარად ან მოხრა-გაშლით, ხელსართავებით ან უმისოდ. მკლავების მოძრაობა შეიძლება ცალკე ან ზეტანისა და ფეხების მოძრაობასთან ერთად - კოორდინირებულად<sup>1</sup>. აქ ნახსენები ვარიანტები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კუთხური საცეკვაო დიალექტებისა და მუსიკალური ნაწარმოების დინამიკის შესაბამისად. ეს ფაქტორები ფრიად ამდიდრებს რიტუალის საცეკვაო მხარეს.

ქალთა სარიტუალო ცეკვები ცნობილია სხვა უძველესი ცივილიზაციებისთვისაც. ელფრუიდა კარალიოვას თავის ნაშრომში „ცეკვის ადრეული ფორმები“ დეტალურად აქვს აღწერილი ქალთა სარიტუალო ცეკვებში არსებული საცეკვაო პლასტიკა. იგი ეყრდნობა ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალას და ფრიად საინტერესო დასკვნას გვთავაზობს: „ყველა სახის ქალთა რიტუალური ცეკვებისათვის საცეკვაო ლექსიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს სხვადასხვა სახის რხევითი და ბრუნვითი მოძრაობები, თეძოებისა და მთელი სხეულის გამოყენებით. მოძრაობების შესრულებისას ფეხები მეტწილად არ სცილდება მიწას. ამას მოწმობს არქეოლოგიური მასალებიც. კრეტასა და მიკენის ფილებზე ასახულია ბუნების ძალთა განახლების კულტთან დაკავშირებული ცეკვა. აღნიშნული სრულდება სხეულითა და ხელებით, არც ერთ მათ შორის ყველაზე დინამიკურ ცეკვაშიც კი ფეხები საგრძნობლად არ სცილდება მიწას“<sup>2</sup>.

რიტუალურ ცეკვებში ელფრუიდა კარალიოვას მიერ დახასიათებული ქალის საცეკვაო პლასტიკა ძალიან ახლოს დგას ქართულ საცეკვაო პლასტიკასთან. რხევითი მოძრაობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ადგილზე შესრულებული საცეკვაო ილეთებით, იგი ითვალისწინებს ზედა ტანის გადახრას სხვადასხვა რაკურსით, ასევე ნახევარ ბრუნს, რიგ შემთხვევაში სრულ ბრუნსაც ან სხეულის გარკვეული რაკურსით გადახრილ მდგომარეობაში დავლას. მართალია, ქართულ ცეკვებში თეძოებით მკაფიოდ შესრულებული საცეკვაო ილეთები არ იკვეთება, მაგრამ „გარშემოვლისა“ და

<sup>1</sup> ჯავრიშვილი, ქართული, 2018, გვ. 39-40.

<sup>2</sup> Королева, Ранние, 1977, с. 97 (ავტორის თარგმანი).

„თავშემოვლებისას“ ვერა ბარდაველიძე აფიქსირებს „დაჩოქილ“, „დაოთხილ“ და „ფოფხვით მოძრაობებს“, რომლებიც ასევე სხეულის გამოყენებით შესრულებულ ილეთთა ჯგუფს მიეკუთვნება. ბრუნვითი მოძრაობები ქართულ საცეკვაო პლასტიკაში დღემდე ფართოდ გამოიყენება როგორც ლირიკულ ცეკვებში, ასევე დინამიკური შესრულებისას. სხეულისა და ხელების აქტიურ საცეკვაო მდგომარეობაში დაფიქსირება შესაძლებელია როგორც ეთნოგრაფიაში მოყვანილი აღწერების მიხედვით, ასევე პროფესიული ლიტერატურის დახმარებით. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ფეხების გადაადგილების მახასიათებლებს“, ჩვენი ერის ქალთა ცეკვებში დღემდეა შენარჩუნებული სვლების დროს ფეხის იატაკზე მიჯაჭვულობა, მათი უმეტესი ნაწილი ამ პრინციპის მეშვეობით სრულდება, თითქმის ყველა კუთხის საცეკვაო დიალექტში.

ბატონების რიტუალში დაფიქსირებული მუსიკალური მასალა რომ მივუსადაგოთ კარალიოვას მიერ აღწერილი რიტუალური ცეკვების სპეციფიკას და შევაფარდოთ ქართულ ქალთა საცეკვაო პლასტიკასთან, გარკვეული სურათი მიიღება. ამავე კონტექსტით შეგვიძლია, უშუალოდ საცეკვაო მოძრაობებისა და სვლების განხილვაც. ეს ყოველივე მოგვცემს ნათელ სურათს, გავაცოცხლოთ რიტუალში არსებული საცეკვაო პლასტიკის რეკონსტრუირება, რაც, თავის მხრივ, გაამდიდრებს ქალთა საცეკვაო რეპერტუარს.

ბატონების რიტუალი, როგორც სინკრეტული ხელოვნების ნიმუში, სხვა კომპონენტებთან ერთად, მნიშვნელოვნად მოიცავდა ქორეოგრაფიულ ნაწილს, როგორც საფერხულო (შემოვლა, შემოტარება გარშემოვლება), ასევე საცეკვაო პლასტიკის სახით. აღნიშნული რიტუალი წარმოადგენს სახადიანი ავადმყოფის განკურნების ქალთა საფერხულო მისტერიას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.
- ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941.
- გვარამაძე ლ., ქართული ხალხური ქორეოგრაფია ძირითადი საკითხები, თბ., 1957.

- თათარაძე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010.
- მინდაძე ნ., ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა თბ., 2013.
- სამსონაძე ა., ქორეოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „კენტავრი“ თბ., 2020.
- შენგელია მ., მაგიური მედიცინის უძველესი გადმონაშთები ქართულ ფოლკლორში, საქართველოს ისტორიის პალიტრა, ტ. 7, თბ., 2022.
- ჩიჯავაძე ო., ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009.
- ჯავრიშვილი დ., ქართული ხალხური ცეკვა. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, თბ., 2018.
- Королева Э. А., Ранние Формы Танца, Кишинев, 1977.

**სოფიკო კიკაბიძე,**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ხელმძღვანელი: თეატრალური ხელოვნების დოქტორი გიორგი აფხაზავა

**რეზიუმე**

**რას ნიშნავს „სამაია“ და რას გვიმხელს მისი სახისმეტყველება?** საინტერესოა, ის ერთი სიტყვის მნიშვნელობას წარმოადგენს თუ „სამაია“ ორი დამოუკიდებელი სიტყვის ნაერთია? მაგალითად სამა-ია, სამ - აია. ამ სიტყვათა განმარტებისას ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე არსის მატარებელ კოდირებულ სიტყვას ვიღებთ. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ასევე, სვეტიცხოვლის ფრესკაზე აღბეჭდილ ფიგურათა პლასტიკური ფრაგმენტი ადასტურებს ცეკვა „სამაიას“ რელიგიურ ხასიათს.

„სამა“ - სინონიმი: სამობა. სამობა - „სამსა სამობას შინა...“<sup>1</sup> სამობა - იგივეა, რაც სამება. „თეთრი ია მარიამ ღვთისმშობლის ემბლემას წარმოადგენს“.<sup>2</sup>

„აია“ - წმინდას ნიშნავს, როგორც ქრისტიანულ რელიგიაში, ასევე გვხვდება ყურა-

ნის ტექსტში და „აია“ იმ თავებს წარმოადგენს, რომლებშიც ეს სიტყვა გამოყენებულია, როგორც ბუნებაში ღმერთის არსებობის, წინასწარმეტყველური გამოცხადებათა ჭეშმარიტების სასწაულებრივი მტკიცებულება. ეს სახელწოდება მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოს ისტორიასთან, „აია“ - კოლხეთის დედაქალაქი (დღევანდელი ქუთაისი - „ქვათაია“). კოლხეთის მეფის, აიეტის სახელსაც ქალაქ „აიას“ სახელწოდებასთან მივყავართ, კუნძული „აია“, რომელიც აიეტის დის, კირკეს სახელთანაც ასოცირდება. აგრეთვე, საინტერესოა ქართული საწესჩვეულებო წინა სააღდგომო და ბზობის რელიგიური რიტუალი „აიობა“, „ბაიობა“, რომელიც არამართო სამეგრელოში, ასევე აფხაზეთსა და სვანეთშიც გავრცელებული იყო და დღემდე შემორჩენილი.

<sup>1</sup> ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1980, გვ. 187.

<sup>2</sup> კენჭაშვილი, სიმბოლიკები.



მაშასადამე, ასეთი განმარტებით შეგვიძლია სამ-აია-ს სიტყვათა წყობით მისი სახისმეტყველება ვივარაუდოთ: სამი - სამება, აია - წმინდა - წმინდა სამება, სამი წმინდა, სამი ღვთაება, სამი ნიშანი, სამების

მაღლი. ყოველივეს შეჯამების საფუძველზე, ცეკვა სამაია გამოდის არა მხოლოდ საცეკვაო წარმოდგენა, არამედ რიტუალური და უმთავრესად საღვთისმეტყველო ინფორმაციის მატარებელი სახისმეტყველება.

## „სამაიას“ სახისმეტყველება

*საკვანძო სიტყვები: სამ - აია, სამა- ია, სამაია, სახისმეტყველება, ცეკვა, სამა, სამობა, ფსალმუნი, აია, მზე, რიტუალი*

რას ნიშნავს „სამაია“? როკვას? ფერხისას? ფერხულს? ცეკვას? ლექსზე აწყობილ ამბავს? მზის თაყვანისცემას? თამაშობა-სანახაობას? საქორწილოს? ძეობას? რიტუალს? სამ-აიას? თუ ფსალმუნის სახისმეტყველებას?...

გავიხსენოთ სამაიას შესახებ ისტორიული მონაცემები. „როკვა“, „ფერჯისა“, „ფერხული“ - ეს უძველესი ტერმინები ქართულ საცეკვაო კულტურაზე მიგვანიშნებს, რომელთა შინაარსიც განსაზღვრავს როგორც მის ისტორიას, ასევე ფორმასაც. შევეცდები, მოვძებნო სიტყვა „სამაიას“ განმარტება. ქართულში მრავლად გვხვდება ორი სიტყვისგან შედგენილი სიტყვები, როგორც დამოუკიდებელი, ისე ერთიანი შინაარსით. საინტერესოა, სამაია არის ერთი მთლიანი, თუ მისი წარმოშობის მომენტში შეერთდა ორი სიტყვა. მაგალითად: სამა - ია, სამ - აია.

სულხან-საბა ორბელიანთან „სიტყვის კონაში“ მოხსენიებულია სიტყვა როკვა, რომელიც იგივეა, რაც ცეკვა, იგივე, რაც სამა და იგივე, რაც მსგავსი დანარჩენი. ესე იგი, სულხან-საბა ცეკვის მნიშვნელობას ორი დამოუკიდებელი სიტყვით აღნიშნავს: „როკვა - (14,6 მათე) სამა, ცეკვა და მისთანანი“.<sup>1</sup> სულხან-საბა ცეკვა „სამაიაზე“ ინფორმაციას გვაწვდის სიტყვით „სამა“, რომელსაც სხვადასხვა ტერმინთა და სიტყვათა განმარტებაში მოიშველიებს. საინტერესოა, ამ განმარტებებში როგორი კონტექსტით არის

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 537.

„სამა“ წარმოდგენილი, მაგალითად: „თამაშა თათრულად სანა-ხაობას ნიშნავს, ხოლო **თამაშობა** ქართულად მღერა **შექცევათა** სახელია და ესეც იყოფა ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, **როკვად და შექცევად**, ... როკვა არს სამა, ცეკუა, ბუქნა, კოჭა, ფერჟული, მგრგვალთ წყობა და რაოდენიცა ებანთა და ფანდურთა მიერ იქმნებიან...“.<sup>1</sup> ესეიგი, „სამას“ ქმედების დროს ებანი და ფანდური გამოიყენებოდა. ებანი პირველად „დაბადებაში“ გვხვდება, როგორც ჩანს, იგი უძველესი დროიდან არის ცნობილი. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, თავდაპირველად ებანის დანიშნულება როკვისას საკრავთა მწყობრში სიმღერა, გალობის თანხლება იყო.<sup>2</sup> სულხან-საბას განმარტების მიხედვით, „**თამაშობა**“ იგულისხმება „**სამას**“ ჩაბმა და მისი სანა-ხაობა, „სამა“ ებანთა თანხლებით სიმღერისა და გალობის ფონზე სრულდებოდა.

„სამა“ - სინონიმი: სამობა.

სამობა - „სამსა სამობას შინა...“.<sup>3</sup>

სამობა - იგივეა, რაც სამება.

სიტყვის დაბოლოება - „ია“ მოვიძიე სულხან-საბას იმავე ლექსიკონში. „ია-ყვაილი გაზაფხულისა“.<sup>4</sup> „თეთრი ია მარიამ ღვთისმშობლის ემბლემას წარმოადგენს“.<sup>5</sup> იისფერი სამოსლის ფერებში წმინდანთან მსახურების განსაკუთრებულობის, ანდა ინდივიდუალურობის აღსანიშნავად გამოიყენება. „ია“ - ყვაილი, თავმდაბლობის სიმბოლოა ქრისტიანულ მოძღვრებაში. ესე იგი, „სამაია“ უფლის მიმართ თავმდაბლობის, ლოცვის გამომხატველია.

დავით ჩუბინაშვილი რუსულ-ქართულ ლექსიკონში ცეკვას<sup>6</sup> როკვით ხსნის და სამაიას ფერხულში აღნიშნავს, როგორც „სამაია, ფერხისი ქალთა“.<sup>7</sup>

ქართული ხალხური ცეკვის ისტორიაში უძველესი ძეობის რიტუალი ფიქსირდება, რომელშიც ქალთა მიერ შესრულებული „სამაია“ მოხსენიებული, ამის შესახებ დოკუმენტურ წყაროს

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 133.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი, ქართული, 1990, გვ. 48.

<sup>3</sup> ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1980. გვ. 187.

<sup>4</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 143.

<sup>5</sup> კენჭაშვილი, სიმბოლიკები.

<sup>6</sup> Чубинов, Русско-грузинский, 1846, ст. 1166.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 1143.

სტატიის სახით ჯამბაკო ორბელიანიც გვაწვდის. ის გვამცნობს: „მოვყვებით აქედან ანუ პირველ ყმაწვილის დაბადებიდან: უწინდელ დროს ჩვილი ყმაწვილი რო დაიბადებოდა, თან უნდა სიმღერით ეთქვოთ ეს ლექსი, ქალებს და ყმაწვილკაცებს. „მზე შინაო, მზე შინაო, მზეში შამოდო“ – და სხუანი“.<sup>1</sup>

სიმბოლურად ნათქვამი „მზე შინაოს“ სულხან-საბა განმარტავს ასე: „მზე ესე არს მეოთხესა ცასა ზედა, რომელსაც ეწოდების **კოჭიმელი**“.<sup>2</sup> კოჭიმელი მეოთხე ცას აღნიშნავს, რომელიც მომცრო ზომისაა. **კოჭი** მოკლე და მომცრო სართული.<sup>3</sup> **მელი** – მელია (მათე 8,20).<sup>4</sup> სულხან საბას მოჰყავს მაგალითი მათეს სახარებიდან: „[...] იესომ უთხრა მას: „მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველთ ბუდეები. კაცის ძეს კი არ გააჩნია, სად მიიდრიკოს თავი“. სულხან-საბას მიერ განმარტებისთვის მოყვანილი სახარებიდან ეს აბზაცი განსაზღვრავს „მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდი“ ტექსტის შინაარსს, უფლის სახლში მოპატიუების და საცხოვრებლის უფლის სახლად დამკვიდრების მიზნით. ესე იგი, სახლი, როგორც უფლის მომცრო სამყოფლის, მეოთხე ცის (მზის სამყოფლის, მზის შინას) მსგავსად სიმბოლურად აღინიშნება. აქვე საყურადღებოა, რომ „მზე შინა და მზე გარეთას“ ტექსტი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება, მაგრამ „მზე შინა და მზე გარეთას“ ფრაზა უცვლელია. ასევე, ხათუნა დამჩიძე აღნიშნავს: „[...] რატომ ეწოდება ჩვეულებრივ სტრუქტურის ხატობაზე შესასრულებელ ფერხულს „სამაია“... თუ ტექსტს მივყავით, „სამაიასთან“ კავშირი წყდება. უნდა აღინიშნოს რომ ტექსტი, რომელიც სიმღერებში ისმის, თითქოს, კავშირში არ არის მის სახელწოდებასთან, რადგან ტექსტის ნაწილი „სამაია, სამთაგანა არ იქნება ორთაგანა“ გრძელდება სრულიად სხვა შინაარსის მატარებელი ტექსტით“.<sup>5</sup>

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელი ფოლკლორული ტექსტების ცვლა და, ასევე, სხვადასხვა ვარიანტით წარმოდგენა თავისებურნიშნებს შეიცავს: დროში ცვლას, თაობათა ცვალებადობის, ადგილმდებარეობის, თემის ან დიალექტის მახასიათებლის, ტრა-

<sup>1</sup> ჯამბაკო ორბელიანი, ივერიანელების, ჟურნალი ცისკარი, 1861, გვ. 147.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 207.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 173.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 202.

<sup>5</sup> დამჩიძე, საქართველოს, 2022–2023, გვ. 224.

დიციებისა და რიტუალების, ყოფითი წეს-ჩვეულების მიხედვით და ასე შემდეგ. აქვე, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მიუხედავად ამ ცვალებადი ნიშნებისა, ტექსტის ძირითადი არსის სახისმეტყველების მაჩვენებელი ფრაზები უცვლელი რჩება.

ჯამბაკო ორბელიანის ჩანაწერში ვხვდებით ქორწილში „სამაიას“ აღწერას: „[...] ბევრი რიგი თამაშობა არის ჩუქნში მღერით. მაგრამ ერთსიმათგანს ვიტყვ, იმ **თამაშობას და იმშექცევას...**“<sup>1</sup> როგორც ცნობილია, „სამაია“ ძეობის რიტუალის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ, ჯამბაკო ორბელიანის მიერ ქორწილის შესახებ ჩანაწერის მიხედვით, მასობრივი სანახაობრივი ფორმა ფიქსირდება „**თამაშობა-შექცევის**“ სახით.

ვახუშტი ბატონიშვილი დაწვრილებით აღწერს ქართველთა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო რიტუალს და წეს-ჩვეულებას, მათ შორის, ძეობის რიტუალსაც, რომლის დროსაც მოიწვევდნენ მენესტვეებს და „სამთა გვამთა მიერ ერთმანეთის ხელკიდებით...“<sup>2</sup> ჩააბამდნენ „სამიას“. ვახუშტი ბატონიშვილის ჩანაწერი ჯამბაკო ორბელიანის მიერ ქორწილში „**თამაშობისა და იმ შექცევის**“<sup>3</sup> აღწერილობის მსგავსია, მხოლოდ აქ უკვე „სამაია“ „**სამაიად**“ მოიხსენიება.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემულ ამ ძეობის რიტუალის აღწერაში მენესტვეთა არსებობა „სამიასთან“ ერთად ფსალმუნების კითხვაზე მიუთითებს, რადგან დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებში ნახსენებია მენესტვენნი, როგორც ფსალმუნის კითხვის დროს თანმხლები ჟღერადი ფონი. ჩასაბერ საკრავთა, კერძოდ, სტვირთა ნაირსახეობაზე ფსალმუნებში ამოვიკითხავთ: ფსალმუნი 97(6) – „**ნესტვთა ჭედილითა და წმითა ნესტვსა** რქისადთა ღალადებდით წინაშე მეუფესა უფლისა“.<sup>4</sup> ფსალმუნი 150, 3 – „[...] აქებდით მას **წმითა ნესტვსადთა**, აქებდით მას ფსალმუნითა და ებნითა...“ და ასე შემდეგ.

წმ. იოანე ოქროპირი ფსალმუნს განმარტავს ასე: „ფსალმუნი გალობა ყოველისთვის წარმოადგენს ზეიმს მოხარულთათვის და

<sup>1</sup> ჯამბაკო ორბელიანი, ივერიანელების, ჟურნალი ცისკარი, 1861, გვ. 147.

<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვახუშტი ბატონიშვილი, ისტორიული აღწერა, 1914, გვ. 18-19.

<sup>3</sup> ჯამბაკო ორბელიანი, ივერიანელების, ჟურნალი ცისკარი, 1861, გვ. 147.

<sup>4</sup> ტელიძე, ფსალმუნი 97, 2006.

ნუგეშის-ცემას მოწყინებაში მყოფთათვის“.<sup>1</sup> ვინაიდან, ყველაზე ძველ წყაროში - ფსალმუნებში ფიქსირდება საკრავი „ნესტვი“, მისი ხმოვანება „წმითა ნესტვსა“ და მასობრივი ხმაშეწყობილი ფორმა „ძნობა“, აშკარაა, რომ ეს ტერმინები საუკუნოვანი შენარჩუნებით და მათი დატვირთვით კიდევ უფრო ადასტურებს ძეობის რიტუალის რელიგიურ დანიშნულებას.

მენესტვეთა ჩართულობა „სამიასთან“ ერთად უკვე ფსალმუნთა სტვირზე ჰარმონიულად აჟღერებული უფლის სადიდებელი უნდა ყოფილიყო. ანალოგიურად, ამ ვარაუდის მიხედვით, სვეტიცხოვლის ფრესკაზე მოცემული მუსიკოსთა დასიც ადასტურებს ფსალმუნთა შესრულებას და კრავს მთელი ფრესკის კომპოზიციის შინაარსს, რის საფუძველზეც მრავალ საცეკვაო კულტურათაგან ფრესკაზე აღსაბეჭტად გამოირჩა „სამაია“. მასზე მკვეთრად ასახულია მანდილით ხელში მდგარი ქალთა ჯგუფი. მათი დინამიკა და ცენტრში განლაგებული მუსიკოსთა გუნდის გამოსახულება ადასტურებს, რომ ეს სცენა ცეკვის ფრაგმენტს წარმოადგენს. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მონასტრების დღესასწაულების დროს ყოველივე საერო ბნე-ჩვეულების გამოხატულების წინააღმდეგ გაილაშქრა და აკრძალა“.<sup>2</sup> ამრიგად, საეკლესიო რიტუალის ჩატარების გარდა, ტაძარში ყველა სხვა ქმედება აკრძალული იყო, რამაც საფუძველი მისცა, არსებული საერო თუ რომელიმე ღვთაებისადმი განხორციელებულ სარიტუალო ქმედებებს გარე სივრცეში გადაენაცვლათ. მიუხედავად ამისა, ამ კანონიკური წესის დამკვიდრებიდან XVI-XVII საუკუნეების ფრესკაზე აღიბეჭდა საცეკვაო ქმედება, რომელიც ქრისტიანული სამყაროსათვის ყოვლად მიღებული აღმოჩნდა. ისმის კითხვა: **რამ განაპირობა ეს ფაქტი?** ქართული ცეკვის თანხლებით გადმოცემული კონკრეტული ამბავი ექვემდებარება XVI-XVII საუკუნეების კანონიკურ წესებს. თავისუფლად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ფრესკაზე აღბეჭდილი ცეკვა „სამიას“ კანონიკურობაზე, რადგან ზემოთ მოყვანილი მეცნიერთა ვარაუდის და კვლევების შეჯამების საფუძველზე შემთხვევაში, ვასკვნით ცეკვა „სამიას“ რელიგიურ სახისმეტყველებას.

<sup>1</sup> შალამბერიძე, წმინდა, 1995, გვ. 338.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი, ქართული, 1990, გვ. 217.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა და სულხან-საბას მიერ მოწოდებული დამოუკიდებელი სიტყვების – „სამა“ და „ია“ განმარტების შემდეგ საინტერესოა „სამ“ – „აიას“ მნიშვნელობა.

**აია** – (ბერძნულად **Ἄγια**) წმინდას ნიშნავს, ასევე როგორც წმინდა სამება – **αγίας τριάδας**, აია წმინდა სოფია – **Αγία Σοφία**, ან წმინდა ათონის მთა – **Ἄγιον Ὄρος**. „აია“ ასევე გვხვდება ყურანში [ნაბარაბულად **آيَا**]. აია – „ყურანის ტექსტის შემადგენელ სურებში (თავებში) არსებული დანაყოფი, ყურანის ლექსი. ყურანის ტექსტში ეს სიტყვა გამოიყენება ბუნებაში ღმერთის არსებობის, წინასწარმეტყველურ გამოცხადებათა ჭეშმარიტების სასწაულებრივ მტკიცებულებად, რაც სიტყვა სიტყვით ნიშნავს ნიშანს, სასწაულს. ძირითადი [ა/ა/ა] ყურანში გვხვდება **382**-ჯერ არსებითი სახელი ფორმით **აია** შემდეგი მნიშვნელობით: 1. ნიშანი; 2. ყურანის ერთეული – აია; 3. სასწაული; 4. ღვთაებრივი მადლის ნიშანი“. <sup>1</sup> ჩვენ მესამე სურის (ანუ თავის) მესამე აიაში ამოვიკითხავთ: „(შუამავალო!) მან თანდათან ზემოავლინა შენზე ჭეშმარიტი წიგნი, დასტურად იმისა, რაც მის უწინარეს იყო; და მოავლინა თევრათი (თორა) და ინჯილიც (სახარება)“.<sup>2</sup>

აიას ქართული წარმომავლობა – სად გვხვდება საქართველოში სიტყვა აია? „აია“ კოლხეთის უძველესი სახელია, რომელსაც არაერთი მითოლოგიური თუ ისტორიული წყარო ადასტურებს და უკავშირდება კოლხეთის მეფე აიეტს. „...აიაიე“ გამოიყენება „კოლხიკეს“ ნაცვლად ადგილის სახელის მიხედვით. „აია“ კოლხეთის ქალაქია სხვებთანაც და ლიკოფრონთანაც. „აიას“ მოქალაქე კაცი „აიაიოსია“, მოქალაქე ქალი – „აიაია“. კირკეს კუნძულსაც „აიაია“ (ჭქვია) ამავე კირკეს გამო. თუ კუნძულ „აიაიას“ თავდაპირველი სახელი ორი აი-თ აქვს, იქაურ კირკესაც მესამე აი უნდა ჰქონოდა, რათა ყოფილიყო „აიაიაიე“, რაც არ გამოიყენება ცუდი ჟღერადობისა და უკვე თქმული ომონიმის გამო. გეოგრაფი სტრაბონი ასახელებს ქალაქ „აიას“ ფაზისზე და ამბობს, რომ კოლხეთის ამ „აიასთან“ არის კირკეს კუნძული „აიაიეც“. გმირმა აიეტმა რომ სახელი ამავე „აიადან“ მიიღო, ამას ძველი მწერლები ცხადყოფენ“.<sup>3</sup> არგონავტების მითში ქვეყანას, სადაც მათ ილაშქრეს,

<sup>1</sup> ბოჭორიშვილი, ისლამი, 2022, გვ. 16.

<sup>2</sup> ყურანი.

<sup>3</sup> ურუშაძე, ძველი, 1964, გვ. 183.

ეწოდება „აია“ და მის დედაქალაქს (დღევანდელი ქუთაისი) - აია.<sup>1</sup> მეცნიერთა აზრით, არგონავტების მითის პირველი სახე უნდა შექმნილიყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სახელი „კოლხიდა“ არ არსებობდა და ამ მხარეს ერქვა სხვა სახელი - აია: მიწა ქვეყანა.<sup>2</sup> ჰომეროსის ძვ.წ. IX – VIII საუკუნეების „ოდისეა“ წარმოადგენს უძველეს წყაროს, რომელშიც მოხსენიებულია კოლხეთის პირვანდელი სახელწოდება „აია“...<sup>3</sup> ჰომეროსმა არ იცის სახელი კოლხეთი, მაგრამ მის მაგივრად ახსენებს „აიას“. ოდისეაში გეოგრაფიული სახელი „აია“ მოხსენიებულია სამ ადგილას, რომლის მიხედვით „აია“ არის ქვეყანა, რომელშიც მზე იწყებს ამოსვლას (XII, 1-4).<sup>4</sup> ასევე, ოდესეაში აღნიშნულია: „[...] აიას მივალწიეთ, სად კირკე მკვიდრობს...“.<sup>5</sup> ასევე, „კირკეს კუნძულის სახელწოდება „აიაიე“, რომელიც „აიას“ კუთვნილს, მის ნაწილს აღნიშნავს და მისი მდებარეობა აიეტის ქვეყანაშია“.<sup>6</sup> ჰეროდოტე წერს: „გრძელი ჰომადლით მოსცურეს „აია“ კოლხიდაში, მდინარე ფასისთან“.<sup>7</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნე, „აია“ კოლხეთის დედაქალაქს დღევანდელი ქუთაისი წარმოადგენდა, რომელიც ძველ წყაროებში მოხსენიებულია „კვტაიას“,<sup>8</sup> „ქვათაიას“ სახელწოდებით. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილ უძველეს გამოქვაბულთა არსებობა მიგვანიშნებს მის სახელწოდებაზე - „ქვად“- კლდე გამოკაფული, როგორც ქვაბი;<sup>9</sup> აია - წმინდა; ესე იგი, წმინდა ქვაბი კლდე გამოკაფული. ვინაიდან, ქალაქიც და კუნძულიც „აია“-თია მოხსენიებული, „აია“, „აია“ და „ქვათ - აია“-ც წმინდას და წმინდა გამოქვაბულთა კომპლექსს, ან ერთი რომელიმე გამოქვაბულის მიმართ მინიჭებულ სახელს ადასტურებს. ასეთმა თანმიმდევრულმა წყობამ, ასევე, შეიძლება, „მზე შინა და მზე გარეთას...“ და, ასევე, „სამაია სამთაგანა, ვერ იქნება ორთაგანას“ არსთან, მის უძველეს პერიოდთან მიგვაახლოვოს. (სამთა) განა, როგორც სულხან-საბა განმარტავს, „განა ესრე არს რა ვიმოწმებდეთ თხრობათა შინა ვეტყვით:

<sup>1</sup> ურუშაძე, ძველი, 1964, გვ. 8.

<sup>2</sup> გოზალაშვილი, მითრიდატე, 1965, გვ. 8-9.

<sup>3</sup> ჰომეროსი, ოდისეა, 1979, გვ. 53.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 214.

<sup>7</sup> ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტე, 1975, გვ. 29-30.

<sup>8</sup> ურუშაძე, ძველი, 1964, გვ. 182.

<sup>9</sup> სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 372.

განა ესრე თქვა? განა ესრე გესმის? განა ესრეთ იხილე?“. <sup>1</sup> ესე იგი, „განა“ – „სამთა“, როგორც უფლის ერთარსის, სამების დამოწმებას ნიშნავს.

აია – აიობა (აფხაზურად) – ბზობის წინა კვირა, ხოლო „ბაიობა“ – ბზობა. <sup>2</sup> ნუგზარ ანთელავა „აიას“ დღესასწაულს ასე აღწერს: „ამ დღეს აფხაზები თავიანთ საცხოვრებლებს გაზაფხულის ყვავილებით მორთავდნენ, მსხვერპლშეწირვა ან სხვა, რამ საკულტო მსახურება არ იცოდნენ; დილიდანვე საზოგადოებრივი თავშემყრის ადგილებში იკრიბებოდნენ და საღამომდე ცეკვით, ბურთის თამაშით, ჭიდაობით, ქვებისა და იარაღის მიზანში სროლით, ცხენების ჯირითით ერთობოდნენ“. <sup>3</sup> (როგორც სულხან-საბა აღნიშნავს, თამაშობა – სამა, ასპარეზი, შეჯიბრი...) ამავე ენციკლოპედიაში ნახსენებია „ბაიობაც“, რომელი წეს-ჩვეულებაც აფხაზებს მეგრელებისგან ჰქონიათ ნახსენები. ნიკოლოზ ჯანაშიას ვარაუდით, აფხაზური „აიაობას“ სახელწოდება „აიას“ (მეგრულად), კერძოდ, ყვავილი „იასგან“ წარმოშობილი უნდა ყოფილიყო (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ია თავმდაბლობის ნიშნად მიიჩნევა). მისი გადმოცემით, საწესჩვეულებო დღემდე „აიაობამდე“ სამი კვირის განმავლობაში აკრძალული იყო ყოველგვარი გასართობი და სამიწათმოქმედო ხვნა-თესვის სამუშაოები. <sup>4</sup>

სამეგრელოშიც ანალოგიურად ემზადებოდნენ და დიდმნიშვნელოვნად ხვდებოდნენ დიდმარხვის მეხუთე კვირადღეს, ანუ ბზობის წინა კვირას. ეს ღირსშესანიშნავი დღეც ზემოთ აღწერილ წეს-ჩვეულების მსგავსად ტარდებოდა. „აიაობა“ იხსენიება განსაკუთრებით მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულთა ჩამონათვალში, რომლის დროსაც იცოდნენ ასევე ცეკვა, მარულა, მიზანში სროლა, ჭიდაობა და სხვა სახის შეჯიბრებები და იების ერთმანეთისთვის მირთმევა და სახლების მოკაზმვაც. ყვავილები მიჰქონდათ ნათესავთა საფლავებზეც.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა:

აიარე, ბაიარე,

ბაიაში წორი თანა ფარე,

ქირსე რენი დო კალანდა რე,

<sup>1</sup> სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის, 1949, გვ. 63.

<sup>2</sup> ბახია-ოქროაშვილი, აფხაზურ-ქართული, 2020, გვ. 37.

<sup>3</sup> ანთელავა ენციკლოპედია, 2006, გვ. 11.

<sup>4</sup> Джанашиа, Статьи, 1960, ст. 33.



წაკურთხია ჯგირი დღა რე.<sup>1</sup>

და ესე განიშარტება – აიაა, ბაიაა (ბზობაა), ბაიას (ბზობის) სწორი აღდგომაა, ქრისტეს შობა და კალანდაა, წყალკურთხევა კარგი (წმინდა) დღეა. სამეგრელოში მეხუთე კვირა დღეს – „აიააჟაშხას“ („აია კვირა დღეს“) და მეექვსეს – „ბაიააჟაშხას“ („ბაია კვირა დღეს“ – „ბზობის კვირა დღეს“) უწოდებენ. ასეთი ეპითეტები კვირადღის, ანუ მზის დღის, თანდათანობით მეტი მნიშვნელობის მინიჭებას გულისხმობს, რაც, შესაძლოა, აღდგომის მოახლოებას უკავშირდება. ნიკოლოზ ჯანაშია აღნიშნავს, რომ არც სახელწოდებაში და არც საამდღისო ღონისძიებებში არ ჩანს ზოგადად ქრისტიანობასთან, კერძოდ კი, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებული საკულტო ქმედებები, ის მიეკუთვნება უფრო ძველ საკულტო პროცესებს. ასტროლოგიურად გაზაფხულის პერიოდში დაწყებული აღდგომამდე მზე ცაზე ყოველ კვირას ნელ-ნელა მალლა იწევს, როგორც ჩანს, ეს მნათობი „აიობის“ დღისთვის ცაზე მნიშვნელოვან სიმალლეს აღწევს, რის საფუძველზეც მკვლევარი მოიაზრებს, რომ „აიობა“ გაზაფხულის ბუნიობისადმი მიძღვნილ დღესასწაულთა ციკლის ერთ-ერთ დღეობას წარმოადგენს. მისი თქმით, ამ აზრს უფრო აძლიერებს ფაქტი, რომ სწორედ აიობაზე იცოდნენ ბურთის (ბურთი კი მზის სიმბოლოა) პირველი თამაში და ეს დღე ყვავილების დღედ მიიჩნეოდა. ამგვარად, ბუნიობის პერიოდში ბუნებაში ციკლური ცვალებადობის მიმდინარე პროცესებს უკავშირდება და ის აღქმულია, როგორც კრიტიკულ დროდ, როცა კოსმიური წესრიგის, წონასწორობის რღვევის საშიშროება დგება. სწორედ ამიტომ ეწყობა „აიობის“ დღეს ლოცვები და შეჯიბრებების სახით ტარდება მაგიური ხასიათის სხვადასხვა თამაშობები.<sup>2</sup> ასე აღწერს „აიას“ დღესასწაულთან დაკავშირებულ ქმედებებს, სარიტუალო პროცესს და მზის ციკლის მდგომარეობას ნიკოლოზ ჯანაშია.

საინტერესო ცნობას გვაწვდის თეიმურაზ მიბჩუანი სვანეთში უძველესი მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ღვთაება „აიას“ შესახებ: „სვანებმა იცოდნენ ამ ღვთაების დღის აღნიშვნა, რასაც „აიამიშლადელ“ („აიასკვირა“) ეწოდებოდა. „აიას“ ღვთაება ქვემო სვანეთში დღემდეა შემონახული... ერთ სვანურ ხალხურ ლექსში

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოვიკი – აიობა.

<sup>2</sup> Джанашиа, Статьи, 1960, ст. 33-45.

ნათქვამია: „აია, ბაია დალინჩალი, ლინჩალის მშვიდობით ჩავაროს, თანაფა მშვიდობით მოსულიყოს“. ამ ლექსში ჩამოთვლილი ღმერთებიდან „აია“, „ბაია“, ყველაზე ადრინდელია. „აია“ და „ბაია“ უძველესია და შუმერულიდან მომდინარე უნდა იყოს. როდესაც ამ ლექსს ამბობენ, ცეკვის დროს ხელში პური უკავიათ, რომელსაც შუაში ხვრელი აქვს, მასში ნელ-ნელა ყრიან ფქვილს და ზემოთ მოტანილი ტექსტის წამღერებით და ცეკვით ილოცებიან.<sup>1</sup>

მაშასადამე, ასეთი განმარტებით შეგვიძლია სამ-აია-ს სიტყვათა წყობით მისი სახისმეტყველება ვივარაუდოთ: სამი - სამება, აია - წმინდა, სამაია - წმინდა სამება, სამი წმინდა, სამი ღვთაება, სამი ნიშანი, სამების მაღლი. ყოველივეს შეჯამების საფუძველზე, ცეკვა სამაია გამოდის არა მხოლოდ საცეკვაო წარმოდგენა, არამედ რიტუალური და უმთავრესად საღვთისმეტყველო ინფორმაციის მატარებელი სახისმეტყველება.

ამგვარი სახისმეტყველების განხილვით, „სამაია“ უძველეს სახელწოდებად გვესახება, რომელმაც ქართულ მეხსიერებაში კვალი დატოვა და დროს გაუძლო თავისი მყარი შინაგანი არსით, სახისმეტყველებით, სიღრმით, ენერგეტიკით, რომლის ფესვებიც საქართველოს ისტორიასთან გვაბრუნებს და ღვთის სადიდებლად მოვლენილი ეს ქმნილება დღევანდელ რეალობაშიც ავლენს იმ ესთეტიკას, რაც მის სიდიადეში, მონუმენტურობასა და გრაციოზულობაში გამოიხატება. სოლიკო ვირსალაძის მიერ ესკიზში გაცოცხლებული „სამაიას“ გამოსახულება ანარეკლია ფასეულობათა ნაკრებისა: რწმენა, ისტორია და ის ღირებულებები, რომლებიც უწყვეტად გვაკავშირებს „სამაიას“ სახისმეტყველებასთან, მის ინფორმაციასთან და მის ისტორიასთან. ვირსალაძემ „სამაიას“ სახე სწორედ რომ იმ ღირებულებით გადმოსცა, რასაც ეს უძველესი ცეკვა იმსახურებდა, მან შთაგონების წყაროდ გამოიყენა საქართველოს ისტორიაში ყველაზე ღირებული თამარ მეფის ფრესკა. კოსტიუმში გამოყენებული ფერები ზუსტად ესადაგება ქართული ფრესკისა და ხატწერის კანონიკას. თვალ-მარგალიტით მოჭედილ სამოსთა მორთულობა, ფსალმუნთა მიმართ შემკობილ სიტყვას ჰგავს. ვირსალაძის „სამაია“ აღმატებული ფორმაა სხვა ქართული საცეკვაო კოსტიუმებისგან განსხვავებით და სწორედ ასეთი სახით შექმნილი ფორმა, როგორც გაცოცხლებული ფრესკის შთაბეჭდი-

<sup>1</sup> მიბჩუანი, დასავლეთ, 1989, გვ. 189-191.

ლებას ტოვებს, ასევე გვევლინება მაღალი სიტყვის გადმოცემის მშვენიერებად.

„სამაიას“ განძი მეტად საყურადღებოა მისი მთავარი და უძველესი სახისმეტყველების გამო და აუცილებელია მისი UNESCO-ს სიაში შეყვანა. სხვადასხვა კვლევის მიუხედავად, „სამაიას“ შესახებ ძირეული ინფორმაცია არ გაგვაჩნია. საქართველოს ისტორია არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი წყარო, ასევე, „სამაიას“ იდუმალი სახისმეტყველება შორეული წარსულის ინფორმაციის მატარებელია. ყოველივე ამის გამო, ჩემი აზრით, მისი სახისმეტყველება ბევრად ღრმა კვლევის აუცილებლობას მოითხოვს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ანთელავა ნ., ენციკლოპედია, აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, თბ., 2006.
- ბაგრატიონი ა., წყობილსიტყვაობა, თბ., 1980.
- ბახია-ოქროაშვილი ს., აფხაზურ-ქართული ეთნოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 2020.
- ბოჭორიშვილი ს., ისლამი: ტერმინოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2022.
- გოზალაშვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965.
- დამჩიძე ხ., საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის საცეკვაო დიალექტი, კრებული Art კვლევები, თბ., 2022-2023.
- კენჭაშვილი გ., სიმბოლიკები ქრისტიანულ ხელოვნებაში. <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/dictiona/document/HASH014c64c07bdabc62986435c4.4?p.s=TextQuery> 12.11.2024.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოვიკი, აიობა. [https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90?fbclid=IwY2xjawGt01BleHRuA2FibQIxMAABHX4jXkqzpe3FKU8B3JQ5JQJZQL-3k3jBYtUbuH0UD7bgMufj5HjdtwJNNA\\_aem\\_ZjGnqBkY3TmEymoPTsjPcQ](https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90?fbclid=IwY2xjawGt01BleHRuA2FibQIxMAABHX4jXkqzpe3FKU8B3JQ5JQJZQL-3k3jBYtUbuH0UD7bgMufj5HjdtwJNNA_aem_ZjGnqBkY3TmEymoPTsjPcQ) 12.11.2024.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვახუშტი ბატონიშვილი, ისტორიული აღწერა, თბ., 1914.

- სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949.
- მიბჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.
- ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
- შალამბერიძე გ. (რედაქტორი), წმინდა მამათა მოკლე განმარტებითი ლოცვანი, თბ., 1995.
- ჯავახიშვილი ი., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.
- ჯამბაკო ორბელიანი ა., ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი, ჟურნალი ცისკარი, თბ., 1-ელი იანვარი, 1861.
- ყაუხჩიშვილი თ., ჰეროდოტე „ისტორია“, ტ. I, თბ., 1975.
- ჭელიძე ე. (რედაქტორი), ფსალმუნები, ტ. IV, თბ., 2006.
- ჰომეროსი, ოდისეა, თბ., 1979.
- Джанашиа Н. С., Статьи по этнографии Абхазии Сухуми, 1960.
- Чубинов Д., Русско-грузинский словарь, 2ч., Санкт-Петербург, 1846.
- ყურანი. <https://archive.org/details/QuranGEO/page/n25/mode/1up>  
<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90> 12.11.2024.

---

---

## **THEATRE STUDIES**

**Marine (Maka) Vasadze,**  
Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University  
Doctor of Arts, Associate Professor

### **THE PROBLEMS OF THE THEATRE OF THE ABSURD IN THE LATEST GEORGIAN THEATRE**

*Keywords: Theatre, absurd, interpretation, concept, director, performance*

#### **Abstract**

In Georgia, interest in the theater of the absurd and other trends created in the second half of the 20th century—post-dramaturgy, new textuality, in-youth dramaturgy, etc.—began after the collapse of the Soviet Union in the 1990s. Among the playwrights of the so-called theater of the absurd, the plays of Eugène Ionesco, Samuel Beckett, and Edward Albee are most often staged. This, of course, was caused by the existence of Soviet censorship. Plays by the representatives of existentialists, absurdist, and even more so of later trends were banned and were not staged in the republics of the Soviet Union. Since the period of independence, anti-dramatic plays have not only been staged in Georgia; moreover, dramatists of a new generation of Georgians use techniques characteristic of absurdity or other directions in their plays.

In the latest Georgian theater, directors of different generations intensively stage the works of absurdist playwrights. In addition to Beckett, Ionesco, and Albee listed above, they also turned to other playwrights.

In the present article, I will try to determine why plays by representatives of the theater of the absurd are so often staged in the Georgian theater today, while the so-called theater of the absurd was in decline by the end of the 1960s. Some of its innovations were absorbed into the main directions of the theater (although they were ready for further experiments); some authors saw a new direction,

while others continued in the same spirit.

To analyze the problem, I will consider several performances realized on the stage of the Georgian theater over the past five years. In particular: Edward Albee's „The Zoo Story“ staged by the young director Saba Aslamazishvili (2019), Samuel Beckett's „Endgame“ directed by Robert Sturua (2020), Samuel Beckett's „Happy Days“ interpreted by Giorgi Abkhazava (2022), and Eugène Ionesco's „Rhinoceros“ staged by Zura Getsadze (2023).

In 2019, the young director Saba Aslamazishvili staged The Zoo Story in the Meskheti Theatre. By that time, there were already several interesting performances based on the same play on the stages of Georgian theaters. What was outstanding and/or original about the interpretation of the almost novice director? The director used a polystylistic technique in the production, combining techniques of the theater of the absurd with forms of other theatrical directions. While watching the play, you would recognize documentary-interactive, naturalistic, realistic, expressionist, existential, epic, or non-epic theater techniques. He used Shakespeare's famous phrase „All the world's a stage“ to unite all these trends, but he also put irony into it. The director and the actors intensified the theme of homosexuality in the play and brought it to the fore. The problems that troubled Albee in the 60s are extremely relevant today: rejection of the different, hypocrisy, unforgiveness, incompatibility with society, alienation, loneliness, the search for the essence of life, and love. According to the director's concept, the audience became not only a witness but also a direct participant in the story of Peter and Jerry.

Beckett's Endgame is a performance realized in the theatrical language, style, and form of Robert Sturua. Robert Sturua starts working on the play with text analysis, editing, and montage. Endgame is based on the same principle. He translated the play together with Nino Kantidze. In the so-called stage text, the director included excerpts from Revelation (bible), „Waiting for Godot“, and also added a few of his phrases. Despite these edits, Sturua preserved the rhythmicity, musicality, and rhythmical sound of Beckett's text. In a performance, unlike a play, the same texts and actions are not repeated as often as with Beckett. Sturua enhanced

the soul-crushing, inescapable, unending atmosphere of the play. This made the feeling of the apocalypse even more vivid and terrifying. Sturua created a deep, philosophical-existential farce, morality, and sometimes a carnival atmosphere on stage. Sturua's performance begins and ends with the appearance of Christ. In this way, the director ties together the plot, message, form, and structure of the play. In the finale, Clov shoots Christ with the same hunting rifle he wanted to use to kill Hamm. The Son of God, who appeared as a savior, was again condemned to death by mankind. According to Robert Sturua's interpretation, *Endgame* is a warning to mankind, an apocalypse that, in form, goes beyond a monodrama, morality, carnival, interactivity, epic and non-epic.

In 2022, Giorgi Abkhazava staged Samuel Beckett's *Happy Days* in his chamber theater. The director reduced the 42-page work to 7 pages, shortened and edited the text, and brought some of the characters mentioned in the play to life on stage (for example, Mr. and Mrs. Shower). Despite these changes, Beckett's main point remained. Giorgi Abkhazava became a kind of director-author of *Happy Days*. Gia Kancheli's musical phrases, created in different periods and not included in the works, define the style of the performance and create the mood. It is this music that evokes associative comparisons with Fellini's extravaganza. In both the play and the performance, the main acting character is Winnie, Nino Gachechiladze; Tsofne Maisuradze's Willie is a supporting character; and the revived Mr. and Mrs. Shower of Giorgi Tenadze and Tata Metskhovrishvili represent the carnival masks of people's theater. Nino Gachechiladze's Winnie is a tragic, tragic character. Winnie, conveying the thoughts and feelings of a person deprived of the sense of life, is the axis of the play—expressing the absurdity of the existing world. Based on the sarcastic-humorous title of the play, the main message of Giorgi Abkhazava's performance is Beckettian. Despite everything, life goes on, no matter how absurd it is.

